# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 10 თებერვალი, 2010 წელი.

№25 (6391)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## „დასტროჩკილ-დარევერსებულთა“ პარადი „იმედზე“ და დაბინძურებული ტელეეთერი

4

მდგომარეობა საგანგაშოა. ამას დაუმატეთ „რუსთავი-2“-ის ქლაბ თუ კომედი შოუები, რომელთაც პედერასტობასთან უფრო აქვთ საერთო, ვიდრე იუმორთან და მიხვდებით, რომ არ ვაჭარბებ!






ნიკოლაი სილაევი:

## სააკაშვილის შეცვლა ადვილი არ არის

3

## ეროვნული კრება პოლიტიკურ პარტიებთან თუ ლიდერებთან არ უნდა ასოცირდებოდეს

2

ზურაბ ნოდაიდელი:

## დამოკიდებულება ჩემს ვიზიტებთან ნევროზულია

8

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ



## თავშიშველი დონეცკი და „ბოიშვილი“ გოგი,

ანუ რით და რატომ დაემსგავსნენ უკრაინელები ერთ „ქართველ“ თაგვს

2




## მოსწავლეებო, სწორდით! სმენა!!!

5



## ანაკლიის „გაფურჩქვნას“ ადგილობრივების კერძო ქონება ეწირება!

5



## საიდან დავიწყოთ? „აი ია“, „აი ბურთი“!

10



გლობალური დათბობა ეს არის „ყველაზე დიდი სიცრუე, რომელიც ამერიკელი ხალხისთვის გაითამაშეს“

6

სულიერი მამა

## პატრიარქი სამშობლოში ბრუნდება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სამშობლოში 12 თებერვალს დაბრუნდება.

უწმინდესი გერმანიიდან მიუნხენი-თბილისის სპეციალური რეისით ჩამობრძანდება.

ილია მეორე მიუნხენში გეგმიურ სამედიცინო შემოწმებაზე იმყოფებოდა. საპატრიარქოს ინფორმაციით, გერმანიაში ვიზიტის დეტალებზე უწმინდესი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავად ისაუბრებს.

ცნობილია, რომ მარხვის დაწყებამდე, შენდობის დღეს ილია მეორე სამების საკათედრო ტაძარში წირვას თავად აღავლენს.

ჯი-ეიჩ-ენი

მოძრაობა

## ეროვნული კრება პოლიტიკურ პარტიებთან თუ ლიდერებთან არ უნდა ასოცირდებოდეს

**წარმომადგენლობითი კრების ოფისში 2006 წლის ეროვნული კრების მოწვევის საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენლების, 2009-2010 წლების „წარმომადგენლობითი ეროვნული კრების“ მოწვევის საინიციატივო ჯგუფის, „ეროვნულ ქალთა გაერთიანების“, სრულიად საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“, საერთაშორისო კავშირ „ჰერეთის“, „უხუცესთა დარბაზის“ და მეცნიერთა ჯგუფის ერთობლივი ბრიფინგი გაიმართა.**




მოძრაობის „საქართველოს გადარჩენისთვის“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ბაია ამაშუკელმა სპეციალური მიმართვა გააკეთა: **„წარმომადგენლობითი ეროვნული კრების მოწვევა ზეპარტიულ, სახალხო, ეროვნული თანხმობის იდეას ისახავს მიზნად და მასში მთელი საქართველოს რეგიონების წარმომადგენლები ერთიანდებიან. სწორედ რეგიონების წარმომადგენელთა აზრის გათვალისწინებით და კრების იდეის ჩაშლის არაერთი მცდელობის გამოცდილებით, მიგვაჩნია, რომ წარმომადგენლობითი ეროვნული კრება თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკურ პარტიათა და პარტიების ლიდერებთან ასოცირებისგან. პიროვნულად, პარტიების და კონიუნქტურის გარეშე, კრებისთვის ყველა მამულიშვილი მისაღებია“.**

როგორც ეროვნული კრების ინიციატორნი აცხადებენ, აუცილებლად შედგება დიდი შეკრება (ამ შეკრებას არავითარი კავშირი არა აქვს ამჟამინდელ არჩევნებთან), კრების მიზანი ქვეყნის გადარჩენის გზების ძიებაა, გარდა ამისა, პარტია თავისი სტრუქტურით ვერ შევა ეროვნულ კრებაში, მასში გაერთიანება მხოლოდ აპოლიტიკურ ორგანიზაციებს და ასევე აპოლიტიკურ პიროვნებებს შეეძლებათ.

**აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე: საზოგადოება იმედწაგვრილია. არჩევნებს თუ არჩევანს არავინ გვეკითხება, ვისაც უნდა, იმას ირჩევენ და ეს ყველაფერი დიდი ქვეყნებიდან იმართება. ჩვენ უნდა ვუთხრათ ქართველ ხალხს, რომ საქართველოს ბედი ქართველმა ხალხმა უნდა განსაზღვროს. კრება იქნება მასშტაბური და ის მთელს საქართველოს მოიცავს.**

თუ როდისთვის იგეგმება ეროვნული კრება, ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია, რადგან შეიძლება მისი ჩაშლის მცდელობა განხორციელდეს, — განაცხადეს ეროვნული კრების ოფისში.

**მერი ქურასბედიანი**
**მურად ალაშვილის ფოტო.**

„დატორმუზებული“

# თავშიშველი დონეცკი და „ბოიშვილი“ გივი,

### ანუ რით და რატომ დაემსგავსნენ უკრაინელები ერთ „ქართველ“ თაგვს




**შენი არ გაცოდინა და სხვისი არ შეგასმინაო! — არა მგონია, ამაზე დიდი წყევლა არსებობდეს ნორმალური ადამიანისთვის.**

**ნორმალურისთვის-მეთქი, ხაზგასმით ვამბობ.**

**დიახ, ხაზგასმით, რადგან დაუნახავ-უმადური ადამიანი არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად!**

**ყველა, მთელი უკრაინელი ერი, არ მყავს მხედველობაში, ცხადია, არც თუნდაც ყველა აღმოსავლეთ უკრაინელი — ვიქტორ იანუკოვიჩის მხარდამჭერები. რატომ ვამბობ ამას ასე გამოკვეთილად?**

გეხსომებათ, უკრაინის პრეზიდენტის არჩევნების მიმდინარეობისას იქაურმა მასმედიამ გაავრცელა და მერე ჩვენი ინტრიგანი ოპოზიციის მიერ რატომღაც პრეზიდენტის ჯიბის ტელევიზიებად მონათლულმა, თორემ სინამდვილეში ერთობ ობიექტურმა ქართულმა ტელეარხებმაც გადასცეს მოძმე უკრაინელი ხალხისთვის სწორი გზის საჩვენებლად და მათ დასახმარებლად კიევში ხანგრძლივად მივლინებული გივი თარგამაძის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი ვანო მერაბიშვილთან.

გამწარებული იყო გივიიი უკრაინიდან „ბრძოლისუნარიანი“ ქართველი დამკვირვებლების გამოძევებით.

არც გაემტყუნება — კაცის დახმარება გულით გინდოდეს და ის კი გლანძღავდეს?!.

ცხონებული ეროსი მანჯგალაძის პერსონაჟისა არ იყოს, მაალობის მაგიერია?

**ამიტომაც ბობოქრობდა ქართველი ჩე გევარა ცხელ გულზე, — მაგათ დედებს ასე და ისეო, ბოიშვილი ვიყო, თუ მაგ ქალაქს (იგულისხმება დონეცკი) არ დავახუროო.**

იზამდა კიდეც (იგი სიტყვებს ტყუილად არ ისვრის!), **მაგრამ უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არც კი განიხილა არჩევნების მეორე ტურზე ქართველი დამკვირვებლების დაშვების საკითხი და...**

მიხეილ სააკაშვილმაც, **ძალად მაცხონეობა მეორედ ნაღდად არ გამომივაო და, — ჩვენს დამკვირვებლებს უკრაინაში არ გავაგზავნითო, — ისე თქვა, თითქოს უკრაინელ მიმპატიჟებელთა თხოვნა-ხვეწნით ჩამოგლეჯილი კალთა ახლაც მისაკერებელი ჰქონდეს.**

თუმცა ეს ამჟამად სულაც არ არის ჩემი სადარდებელი. **თუ უკრაინელებს, განსაკუთრებით კი მისი აღმოსავლეთი ნაწილის მკვიდრთ, სიკეთის დანახვა არ შეუძლიათ ან, რაც უფრო ცუდია, არც სურთ, და იმ „ქართველი“ თაგვივით იქცევიან, ბუმბულში ჩაწოლას რომ სთავაზობდნენ და ის კი ფუჩეჩ-ფუჩეჩ იწევდა, მათი ნებაა.**

მე უფრო დანაქადნაუსრულებელი გივი თარგამაძის ადამიანური განცდები და ამ აუსრულებლობის თანამდევი ის საშიშროება მაფიქრებს, რაც დონეცკელებს ემუქრებათ (დაუნახავ-უმადურები კი არიან, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მაინც ადამიანები გახლავან, თან — მოძმე ერის წარმომადგენლები!).

**ეს არის ღორის გრიპზე არანაკლებ საშიში სენი: მენინგიტი — მრავალგრადუსიან ყინვაში უქუდოდ სიარულის უთუო თანამდევი.**

**არ მისცეს უკრაინელებმა, კერძოდ, დონეცკელებმა გივი თარგამაძეს ამ ქალაქისთვის „დახურვის“ საშუალება? — იყვნენ ახლა თავშიშველები და მენინგიტთან პირისპირ დარჩენილები!**

**მაგრამ გივიმ რომ თქვა, თუ ეს არ გავაკეთე, ბოიშვილი ვიყოო?!**

**ეეჰ, სააკაშვილს რომ არ „დაეტორმუზებინა“...**

**რუსლან რუსია**

სკოლა

## გამოსაშვები გამოცდები შაშკინისებურად

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი თბილისის სხვადასხვა საჯარო სკოლის 300-მდე მეთერთმეტე კლასის მოსწავლეს შეხვდა. მოსწავლეებმა პირადად მინისტრისგან მიიღეს ინფორმაცია, თუ რა ფორმით მოხდება გამოსაშვები 10 გამოცდის ჩაბარება და სად ჩატარდება გამოცდები, რა მნიშვნელობა ექნება წარჩინებულებისთვის მინიჭებულ ოქროს მედალს და ა.შ. კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართულ შეხვედრაზე მინისტრმა მოსწავლეთა შეკითხვებს სრულად უპასუხა.**

მინისტრის განცხადებით, 2011 წლიდან, მეთორმეტე კლასელებს, რომელთაც ატესტატის აღება და უმაღლესი განათლების მიღება სურთ, საგამოცდო ცენტრებში არა ოთხ, არამედ ათ გამოცდას ჩააბარებენ. მოსწავლეს, რომელიც მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ვერ გადალახავს და ატესტატს ვერ მიიღებს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საშუალებას აძლევს, საგნები მომდევნო წელს უფასოდ გადააბაროს. ხოლო მოსწავლეები, რომლებიც უმაღლესში ჩაბარება არ სურთ და მხოლოდ ატესტატის აღება უნდათ, ასეთები რეგისტრაციას ცალკე გაივლიან. საგამოცდო ცენტრებში გამოცდები 2011 წლის ივლისში ჩატარდება.

გამოსაშვები გამოცდების გარდა, მოსწავლეთა მხრიდან დაინტერესება გამოიწვია, თუ რა სიახლეებია მოსალოდნელი სახელმძღვანელოების შეცვლასთან დაკავშირებით და რა ღონისძიებები განხორციელდება სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, მათ შორის საბუნებისმეტყველო საგნებისთვის ლაბორატორიების აღდგენის თვალსაზრისით. დიმიტრი შაშკინის თქმით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რეფორმის მეორე ეტაპზე ყველა იმ ხარვეზს აღმოფხვრის, რაც საგანმანათლებლო სფეროში არსებობს.

ჯი-ეიჩ-ენი

საპარლამენტო ოპოზიცია

## კრება დარჩა მხიარული,

### ანუ რით დამთავრდა „ხალხთან დიალოგი“?

**„ქრისტიან-დემოკრატები“ პრეზიდენტს პარლამენტში გამოსვლისას „ხალხთან დიალოგის“ შედეგებზე პასუხს მოსთხოვენ. ეს განცხადება „ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელმა ლევან ვეფხვაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა.**

საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტში თებერვლის ბოლოს ელოდებიან და, როგორც ვეფხვაძე აცხადებს, მისი პოლიტიკური ძალა სწორედ იმით დაინტერესდება, რა შედეგებით დაასრულა მთავრობამ ხალხთან დიალოგი.

მისი თქმით, შარშან პარლამენტში სტუმრობისას პრეზიდენტმა ხალხთან დიალოგი გამოაცხადა, რისი შედეგებიც ხელისუფლების გადაწყვეტილებებში უნდა ასახულიყო. თუმცა, როგორც ვეფხვაძე აღნიშნავს, ხელისუფლების წარმომადგენლები მართლაც შეხვდნენ სოფლების მოსახლეობას, მაგრამ „კრება დარჩა მხიარული“ და მოსახლეობის პრობლემები კვლავ მოუგვარებელი რჩება.

ამ პრობლემებში კი ვეფხვაძემ ხილის მოსავლის უყურადღებოდ დატოვება დასახელა. ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ „ბევრგან გაზის მილმა ისე ჩაუარა სოფლებს, რომ მათ ბუნებრივი აირი დღესაც არ აქვთ.“

ამ მილის სოფელზე გატარების მიზნით კი, ვეფხვაძის განცხადებით, მოსახლეობის ქონების ექსპროპრიაცია განხორციელდა და მიწების გარეშეც კი დარჩნენ.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ თვალსაზრისი



*ქართული ოპოზიციის ლიდერთა რუსეთთან დაახლოების სავარაუდო მიზნებსა და შედეგებზე, გამოაცხადა თუ არა კრემლმა „კასტინგი" სააკაშვილის შემცვლელზე, ეყოლება თუ არა მოსკოვს საქართველოში 2013 წლისთვის დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე ფავორიტი; აგრეთვე, იმაზე, რამდენად რეალისტურია საქართველოს ნატოში გაწევრებაზე უარის სანაცვლოდ მოსკოვის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობა, „ინტერპრესნიუსი" მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის კავკასიის კვლევათა ცენტრის ექსპერტს, ჟურნალ „ექსპერტის" პოლიტიკის განყოფილების რედაქტორს ნიკოლაი სილაევს ესაუბრა. სილაევი იმ რუს ექსპერტთა შორის იყო, რომლებიც 2009 წლის 1 დეკემბერს თბილისში ჩამოვიდნენ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ მას და კიდევ ერთ რუს ექსპერტს ქვეყანაში შემოსვლის უფლება არ მისცა. ნიკოლაი სილაევი კარგად ფლობს ქართულ ენას.*

# სააკაშვილის შეცვლა ადვილი არ არის

**— ბატონო ნიკოლაი, მას შემდეგ, რაც საქართველოს ექსპრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ვლადიმერ პუტინს შეხვდა, კარასინმა და კოსაჩევმა ქართული ოპოზიციის ლიდერებს, ნოღაიდელის მსგავსად, მოსკოვში ჩასვლა შესთავაზეს. არაერთმა ქართველმა ოპოზიციონერმა გამოთქვა რუსეთის ხელისუფლებასთან შეხვედრისათვის მზადყოფნა. ცნობილი გახდა იმის შესახებაც, რომ პუტინი ქართული ოპოზიციის ლიდერებს გაზაფხულზე შეხვდება.**

**თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს რუსეთის ხელისუფლებისა და ქართული ოპოზიციის წარმომადგენლების დაახლოება და რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს მათ თანამშრომლობას?**

— დაახლოების, რუსეთის ხელისუფლებასა და ქართულ ოპოზიციას შორის თანამშრომლობის ნიშნებს ვერ ვხედავ. რასთანაც გვაქვს საქმე, ეს მხოლოდ დიალოგის დაწყების მცდელობაა. რაც შეეხება პერსპექტივას, ვფიქრობ, რომ თავად დიალოგის დაწყება წარმატება იქნებოდა, როგორც რუსეთისთვის, ისე — საქართველოსთვისაც.

**— შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ საქართველოში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე რუსეთს თავისი ფავორიტები ეყოლება და კრემლმა სააკაშვილის შემცვლელების „კასტინგი" მოსკოვში უკვე ღიად გამოაცხადა?**

— „კასტინგი" არ იქნება. უკრაინაში გამართულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა ნათლად აჩვენა, რომ მოსკოვი არ აპირებს იმგვარი შეცდომის განმეორებას, როცა ფსონს პრეზიდენტობის ერთ კანდიდატზე აკეთებდა. ახლანდელი მიდგომა უფრო მოქნილია: რუსეთს კონტაქტები უკრაინის პრეზიდენტობის ყველა კანდიდატთან აქვს, რადგან, ვინც არ უნდა გახდეს პრეზიდენტი, ქვეყანასთან ურთიერთობები პოზიტიურად განვითარდეს. გასაგებია, რომ უკრაინაში იყვნენ კანდიდატები, რომლებიც მოსკოვისთვის დიალოგისა და პარტნიორებისთვის მიუღებლები იყვნენ. ვგულისხმობ ვიქტორ იუშჩენკოს, მაგრამ ამ კანდიტატმა არჩევნები წააგო.

სააკაშვილის შეცვლა მარტივად განსახორციელებელი ამოცანა არ არის. საქართველოს პრეზიდენტი გარკვეულ პოპულარობას ინარჩუნებს ელიტებში. აშკარაა, რომ იგი 2013 წელს, ხელისუფლების საკითხის გადაწყვეტისას არ აპირებს სადმე წასვლას ან გვერდზე დგომას. საქართველოში ხელისუფლებისა და ძალაუფლების საკითხი საკუთრების თემას, ქართულ პოლიტიკაში შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ როლს, საზღვარგარეთელი მოთამაშეების პოზიციას, პირველ რიგში, ამერიკის ისტებლიშმენტში გავლენიან ჯგუფებს უკავშირდება.



თავისთავად, „სააკაშვილის შეცვლა" ცოტა რამეს თუ ნიშნავს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს ხელისუფლებაში პრორუსული რეპუტაციის პოლიტიკოსი მოვიდა, ეს არ შეცვლის დღეისთვის ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობას, დაწყებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებით, დამთავრებული რუსეთთან მოუწესრიგებელი ურთიერთობებით, იმ სიღარიბისა და მარგინალიზაციის დაძლევით, რომელშიც ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება. თბილისის მოსკოვთან ნდობის აღდგენა თავისთავად საქმეს ვერ უშველის. აქ საჭირო იქნება ახალი იდეები, პროგრამები და ქვეყნის შიგნით მხარდაჭერა.

**— ბევრს საუბრობენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებიც ცდილობენ რუსეთის ხელისუფლებასთან მისასვლელი გზების ძიებას. თქვენ თუ ფლობთ ინფორმაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებაც ცდილობს მედვედევთან და პუტინთან დიალოგის დაწყებას?**

— ამის შესახებ არავითარ ინფორმაციას არ ვფლობ. თუ გავითვალისწინებთ ბოლო მოვლენებს — რუსი ექსპერტების, მეცნიერებისა და ჟურნალისტების საქართველოში შეუშვებლობის რამდენიმე შემთხვევა; ჩრდილოეთ კავკასიაზე მაუწყებელი სატელევიზიო არხის ამოქმედება, სადაც მოსკოვისთვის ისეთი „სასურველი" პიროვნება მუშაობს, როგორიც არის ალა დუდაევა; რუსეთის ხელისუფლებასთან ქართველი ოპოზიციონერების კონტაქტებზე საქართველოს ხელისუფლების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია, — პირადად მე ძნელად დასაჯერებლად მეჩვენება, რომ სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს პირებთან მისასვლელ გზებს ეძებდნენ.

**— ოპოზიციის ლიდერები, რომლებიც მოსკოვში ჩასვლის მზადყოფნას გამოთქვამენ, აცხადებენ, რომ თუ რუსეთისგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარების პირობას მიიღებენ, მაშინ მზად არიან, უარი თქვან საქართველოს ნატოში გაწევრებაზე. თქვენი აზრით, კრემლთან ქართული ოპოზიციის წარმომადგენლების ამ თემაზე საუბარი რამდენად რეალისტურად გამოიყურება?**

— 2008 წლის აგვისტომდე სააკაშვილის პოლიტიკური კურსის არსი ასეთი იყო — რუსეთისა და ამერიკის უსაფრთხოების საკითხებში, რუსეთ-ნატოს ურთიერთობებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემები ჩაერთო და ამის ხარჯზე დაებრუნებინა კონტროლი ამ ორ რეგიონზე. უდავოა, რომ ჩანაფიქრის თვალსაზრისით ეს თამაში მასშტაბური იყო, მაგრამ, ამავდროულად - სარისკო და უპასუხისმგებლო, რაც აგვისტოს შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა.

საქართველოს თემა რომ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის დაპირისპირების კონტექსტში არ მოხვედრილიყო, ამით თავად საქართველო უნდა ყოფილიყო დაინტერესებული. ამ თვალსაზრისით, ქვეყნის უსაფრთხოების, საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხი მხოლოდ საქართველოს გადასაწყვეტია.

იხ. 4 გვ.

◉ წკეპლიკა

# მ ი შ ა ნდობლივი გამოსვლების გამო

**განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „ნიშანდობლივი" ნიშნავს „ზედმიწევნით ზუსტს", „არსებითს". საქართველოს პრეზიდენტის ყოველი გამოსვლა, ამ განსაზღვრების სრულიად საპირისპიროდ, არც ზედმიწევნით და არც მიახლოებით არ არის ზუსტი და არც არსებითი ანალიზით გამორჩეული; ამრიგად, გვაქვს საფუძველი, რომ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებისთვის ახალი ეპითეტი შემოვიღოთ: მ ი შ ა-ნდობლივი.**

საილუსტრაციოდ ერთ-ერთი ბოლო ნათქვამი გავიხსენოთ, როცა ტელეეკრანიდან ჩვეული რიხით განაცხადა — საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა კორუფციასთან წარმატებულ ბრძოლაშიო.

ღმერთო დიდებულო, ამაში მარწმუნებენ იმ ქვეყანაში, სადაც ტელევიზია ყოველ მეორე თუ მესამე დღეს მაცნობს ამა თუ იმ სამთავრობო უწყების მეტნაკლები რანგის მოხელეს (ჩინოვნიკს!ძ, რომელიც ქრთამის აღებისას „ჩავარდა"; მაცნობს პირდაპირი მნიშვნელობითაც — ვიდეოკადრებით! ამას ჰქვია მსოფლიოში პირველი ადგილი?

პირველი ადგილი რასაც ჰქვია, თუ ჩემი საკითხავი გამხდარა, მე მკითხეთ: მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ პრეზიდენტისა და სხვა ხელისუფალთა მხრივ სახსრების ხელგაშლილ ხარჯვაში (რასაკვირველია სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფო ბიუჯეტთან შეფარდებითძ; პირველ ადგილზე ვართ სახელისუფლებო ტრაბახში; პირველ ადგილზე ვართ პოლიტიკური პარტიების, ჟურნალ-გაზეთების, ტელეკომპანიების (მოდური და მცდარი ტერმინოლოგიით, ტელევიზიებისძ, აკადემიების, უნივერსიტეტების რაოდენობით (რა თქმა უნდა, დარჩენილ ტერიტორიასთან და შემორჩენილ მოსახლეობასთან შეფარდებითძ.

სხვაც ბევრია **მიშანდობლივი** მაგალითი: **მიშანდობლივია** ქვეყნის პირველი პირის ქადაგებანი განათლების, ტურიზმის, გზების გაყვანა-დაგების, მანდარინის ზღვა მოსავლისა და კიდევ არაერთი თემის ირგვლივ, თითქოს ამ სფეროში თავიანთი შეფები, ხელმძღვანელები, მინისტრები არა ჰყავდეთ. იმათ რაღაზე ილაპარაკონ?..

რამდენი ხანია, რაც არ მსმენია პრეზიდენტის საუბარი სახელმწიფო პოლიტიკის არსებით პრობლემებზე, დაკარგულ ტერიტორიებზე, დევნილთა შეჭირვებებზე... Не то говорите-ო, რუსები რომ იტყვიან...

...რამდენი რამ **დამიშავდა** და შესაბამისად, დაშავდა ამ კაცის ხელში! კიდევ რამდენი რამ დარჩა **დასამიშავებელი:** „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები"; და ან კიდევ რას იქმს მ ი შ ა, ავი ნებით და კვლავ ვნებით...

**ლუკა გორგაძე**

◉ ინფორმაცია

## ქართველ მეცნიერებს საინგილოში არ უშვებენ

**კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჯგუფს, რომელმაც საინგილოში მცხოვრები ქართველების დიალექტი უნდა შეისწავლოს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სამუშაოდ არ უშვებენ.**

**— ჩვენ შევხვდით აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების მინისტრს და პროექტთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მივაწოდეთ. ავუხსენით, რომ პროექტი რუსთაველის ფონდის მიერ არის მოწონებული და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი აფინანსებს. პროექტს პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენს სამეცნიერო ჯგუფს საინგილოში სამუშაოდ შესვლის საშუალება რომ მიეცეს, ამ საკითხის მოსაგვარებლად საქართველოს განათლების და საგარეო საქმეთა სამინისტროებიც ჩაერივნენ, მაგრამ საინგილოში ამ დრომდე არ გვიშვებენ, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი გოცირიძემ.**

**პრობლემის გადასაჭრელად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დახმარებისათვის საქართველოს სახალხო დამცველს გიორგი ტუღუშსაც მიმართა.**

## აფხაზეთში დანაშაულთა რიცხვი იზრდება

**სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. გენერალურმა პროკურატურამ 2009 წლის მუშაობის შედეგები შეაჯამა. მათი ინფორმაციით სულ 2009 წლის განმავლობაში სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. გენერალურმა პროკურატურამ 304 სისხლის სამართლის საქმე განიხილა, რომელთა მიხედვით განსჯილია 333 ადამიანი. მათგან თავისუფლების აღკვეთა 135 ადამიანს აქვს შეფარდებული. განცხადება ამის შესახებ შემაჯამებელ თათბირზე აფხაზეთის ე.წ. გენპროკურორმა საფარბეი მიკანბამ გააკეთა.**



**მისი თქმით, 2009 წელს სჭარბობდა ქურდობისა და ავტოსაგზაო შემთხვევები. სასამართლოების მიერ განხილული 22 საქმე კი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას ეხებოდა. ესენია: 14 საქმე — განზრახ მკვლელობის მუხლით და 8 საქმე მოქალაქეებზე ყაჩაღური თავდასხმის მუხლით.**

**ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულთან დაკავშირებით 37 ადამიანი გასამართლდა, 12 მათგანს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.**

**აფხაზური მხარის ინფორმაციით, სულ სასამართლოში შეტანილია 92 საკასაციო და საზედამხედველო საჩივარი. მათგან, აფხაზური მხარის ინფორმაციით, სრულად დაკმაყოფილდა 19, ნაწილობრივ შეიცვალა 2 და არ დაკმაყოფილდა 71.**

ჯი-ეიჩ-ენი

ⓞ საზოგადოება... დუელში?!

**„სიმართლის დრო“, „ღამე შორენასთან ერთად“, დიტო ცინცაძის „რევერსი“ ეს იმ გადაცემათა მცირე ჩამონათვალია, რომლებიც ე.წ. სამაუწყებლო ბადეში გიორგი არველაძის ტელეკომპანია „იმედის“ დირექტორად დანიშვნის შემდეგ გაჩნდა. გადაცემები, რომლებიც ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს აღიზიანებენ. და ეს რბილად ნათქვამია, ანუ, უფრო ზუსტად და მკვეთრად თუ ვიტყვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „იმედი“ თითქოს სპეციალურად, საზოგადოების ჯინაზე და, გარკვეულწილად, ნიშნის მოგებით, მაზოხისტური სიამოვნებით, ხაზგასმული თავხედობით უპირისპირდება საზოგადოებას.**

# „დასტროჩკილ-დარევერსებულთა“ პარადი „იმედზე“ და დაბინძურებული ტელეეთერი

## ასე ძლიერ რამ შეაძულათ ყოველივე ქართული, ტრადიციული, რამ გააცოფათ?!

სხვა რა უნდა დავარქვა იმ ფაქტს, როდესაც მართლმადიდებელ მშობელთა პროტესტს აგდებული, უზრდელური ფორმით უპასუხეს – შორენას შოუ მომავალ შაბათსაც გავა და, ვისაც არ გინდათ, გადართეთო!

არა თუ შეასრულეს დანაპირები, შემდეგ შაბათს, შორენას ახალი სერიის ნაცვლად, სწორედ ის შოუ გაიმეორეს, რამაც აღაშფოთა საზოგადოება! ამაზე მეტი ცინიზმი და საზოგადოების მასხრად აგდება გაგონილა?

**თუმცა თავი დავანებოთ შორენას, რადგან ამ მომხიბვლელ დიაცს, როგორც იტყვიან, თავისი გაჭირვება ეყოფა. მართალია, ინტელექტს ვერ აფრქვევს, მაგრამ ისე, კაცმა რომ თქვას, არა უშავს რა... ეგ არის მხოლოდ, რომ ეროტიკულ-სექსუალური, ტექნიკური რჩევები თუ რეკომენდაციები, რასაც უხვად იძლევა, ქართულ მენტალიტეტთან მთლად უნისონში ვერ არის.**

ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც, მაგრამ თუ ასეთი მიზნედილი ხმით გააგრძელა რჩევების მიცემა ორალური სექსის თუ მამაკაცის ტუჩენა-კბილების მნიშვნელობაზე პიროვნებისთვის ორგაზმის მინიჭების საქმეში, ვინ იცის, იქნებ ამ „ჯერჯერობითს“ დიდი დღე აღარც ეწეროს. აბა ჩემისთანა ბებერ გრუზინებს რაღა გვეშველება, მაგრამ მომავალი თაობაა, როგორც რუსები იტყვიან, „ნა პადხოდე“ და რა იცი, იქნება ყურადაც ილონ გოგო-ბიჭებმა ის აღმოჩენა, რომ, თურმე ახლადშექმნილი ოჯახების ნგრევის მიზეზი ქორწინებამდე ქალიშვილობის შენარჩუნება ყოფილა.

ჰოდა, მთავარია გოგონებმა გათხოვებამდე რაც შეიძლება მეტი „კილომეტრაჟი“ აჩვენონ, რადგან მერე კუზანოვი თავის ოქროს ხელებით – სპიდომეტრსაც „ჩამოუყრის“ და ისე ამოკერავს „ავერლოკით“, მამაჩემის თაობის „საშკა პარტნოისაც“ კი შეშურდებოდა ის „სტროჩკა“. მერე რა, რომ ამისთანა ცოლების ქმრებს რქები ეზრდებათ ხოლმე, მთავარი ხომ ოჯახის სიმტკიცეა! თურმე ჩვენი მამა-პაპების დროს რომ იშვიათი იყო განქორწინებები, ეგეც იმის ბრალი ყოფილა, რომ გარეგნულად ვითომ უკარება და პატიოსანი ქართველი ქალები აღვირახსნილი კახპები იყვნენ. განსაკუთრებით თავადაზნაურთა ქალები.

როგორც იტყვიან, იგივე ოპერიდან არის კიდევ ერთი „ნაშოჩკის“, ნანკა კალატოზიშვილის ე.წ. „სიმართლის დრო“, რომელიც ჯერ შალვა რამიშვილს მიჰყავდა, მაგრამ იმის გარდა, რომ ზურა ყიფშიძის შვილს დასტყუა, – ცოლიც მყავდა და შვილებიც, მაგრამ ხელცქვიტობას (მასტურბაციასძ მაინც ვერ შეველიეო, ბევრი ვერაფერი მოასწრო!

აი, რაც შეეხება ნანკას, აშკარად არ შემცდარა გიორგი არველაძე მის დანიშვნაში. მისი „ჩამჭრელი“ კითხვებიც ძირითადად ქალ-ვაჟის წელსქვევითა ნაწილებით არის შთაგონებული. თუმც იყო ერთი გამონაკლისიც, როდესაც ცოტნე გამსახურდიას ყოფილი მეუღლე არა სექსკითხვით დატოვა მშრალზე.

თუმცა, სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, არც მთლად მშრალზე დაუტოვებიათ ეს ფუქსავატი დედაკაცი. 400 ლარზე საზოგადოების თვალის ასახვევად გადაატარეს, თორემ კულისებში კაი „მრგვალი“ თანხა მიუციათ!

რაც შეეხება „ნანკა-ვსტანკას“, გუშინ უკვე ე.წ. ტრანსსექსუალი შეამოწმა სიცრუის დეტექტორით – როგორ გახდა ბესო კესო!

იქნება ვინმემ თქვას, შეუნდე უფალო, რამეთუ არა უწყიან, თუ რას სჩადიანო. მაგრამ, არა ჩემო მკითხველო, კარგად იციან, რასაც სჩადიან, სრულიად მიზანმიმართულად!

მე არც ცოტნეს მეხოტბე ვარ და არც მანანა არჩვაძის მგალობელი, მაგრამ ის, რაც იმ საღამოს მოხდა „სიმართლის დროში“, ყველაფრის მკადრებელი „ნაციმედელებისგანაც“ კი მოულოდნელი იყო. გამოძიებისთვის ყველა საჭირო კითხვაზე ქალმა, რომელსაც თავისივე მტკიცებით ცოტნეს სიყვარულის ნაყოფი ეჯდა მუცელში, როგორც იტყვიან ალიარებითი ჩვენება მისცა.

ცოტნე გამსახურდია მკვლელი, ნარკომანი, „ფეესბეს“ აგენტი, კრიმინალური მენტალიტეტის მქონე და, რა ვიცი კიდევ, რა არ ყოფილა „უტყუარი“ სიცრუის დეტექტორის მტკიცებით.

საქმე ის კი არ არის, მართლაც ატარებს თუ არა ექსპრეზიდენტის შვილი ზემოთ ჩამოთვლილ „ღირსებებს“. ეს კაციც და მისი ძმაც, რომელსაც ახლა გავიგე, რომ პოლიცმეისტერობისთვის თავი დაუნებებია და იულონ გაგოშიძის ყოფილ სამინისტროში „ზამმინისტრაა“ დღესაც, ჩემთვის, როგორც რუსები იტყვიან, – „პუსტოე მესტო“ არიან. გიორგი გამსახურდია განსაკუთრებით, რადგან იმისი ძმა პატიმარია და მას, მიშას მაღალჩინოსანს, ხმა არ გაუღია მის დასაცავად.

რაც არ უნდა იყოს, ცოტნე გამსახურდია პატიმარია და თუნდაც ამიტომ თანავუგრძნობ და ვერ გამიგია, რას ისახავდა მიზნად „სიმართლის დროში“ მისი გაშავება? იმას, რომ საზოგადოებრივი აზრი განაწყონ მის წინააღმდეგ თუ პირიქით, მისგან გმირის შექმნა უნდათ? არ ვიცი, მაგრამ არც ერთი რომ არ გამოვა და არც მეორე, ამაში დარწმუნებული ვარ!

დაბოლოს, „რევერსი“. ვინც გასულ კვირას დიტო ცინცაძის ამ დასახელების ფილმი ნახა, დამეთანხმება, რომ ეს კვენტინ ტარანტინოს მსგავსი, ოღონდ უნიჭო ფანტასმაგორია, „იმედის“ ზემოთ ნახსენები ორი პროექტის, ღირსეული გაგრძელება თუ დაბოლოებაა!

მართლაც რევერსივით საითაც გინდა იქით გადაახვიე, გინდა შუიდან უყურე და გინდა ბოლოდან, ვერაფერს გაიგებ იმის გარდა, რომ ძმაკაცებმა ერთმანეთის ცოლებს უნდა...

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ „იმედი“, გიორგი არველაძის იქ მისვლის შემდეგ, აშკარა შეტევას ახორციელებს ქართულ ტრადიციულ ფასეულობებზე. შეიძლება ითქვას, რომ „იმედმა“ საზოგადოებას ხელთათმანი ესროლა, დუელში გამოიწვია!

არადა, რა კარგად გვახსოვს ეს ტელევიზია ბადრი პატარკაციშვილის პერიოდში. მის მამხილებელ საინფორმაციო მაუწყებლობას რომ თავი დავანებოთ, „იმედი“ მართლაც იმედი იყო ქართული ღირებულებების დაცვისა. გახსოვთ ალბათ, ყოველ კვირას კეთდებოდა ლამაზი სიუჟეტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში გაბნეული ქართული სულიერების ნივთიერ ძეგლებზე თუ კონკრეტულ მოღვაწეთა შესახებ.

ან ის რად ღირდა, როდესაც სხვადასხვა კუთხეების ქართული სუფრების, თამადების ხილვის საშუალება გვქონდა, რაც ახლახან ქირქილით გაიხსენა ყოველივე ქართულის მოძულე გიგი თევზაძემ – რესტორნებში ღრეობა-ჭამა-სმის პროპაგანდის გარდა ვერაფერი დაინახა ამ ხლისტმა იმაში, რასაც „ქართული სუფრის აკადემია“ ჰქვია!

ერთი სიტყვით მდგომარეობა საგანგაშოა. ამას დაუმატეთ „რუსთავი-2“-ის ქლაბ თუ კომედი შოუები, რომელთაც პედერასტობასთან უფრო აქვთ საერთო, ვიდრე იუმორთან და მიხვდებით, რომ არ ვაჭარბებ!

ბოლოს გულწრფელად მინდა ვთქვა – შეიძლება არ იყო დემოკრატი, საკუთარი სტომაქის იქით ვერაფერს ხედავდე და გაინტერესებდეს, მაგრამ ვერ გამიგია, ასე ძლიერ რამ შეაძულათ ყოველივე ქართული, ტრადიციული, რასაც ასე გააფთრებით ებრძვიან? ნაცებშიც ხომ არიან ქართველები? რა უნდათ, რას გვემართლებიან? ნუთუ ყველაფერი „თავისუფლების ინსტიტუტის“ ბრალია? ოჯახებში არ იზრდებოდნენ? ისე ბოლომდე როგორ გამოუცვალეს სისხლი, რომ ერთი წვეთი არ დარჩათ ქართული?

არ ვიცი, მართლა ვერ გავიგე ჩემო მკითხველო. ერთი კი უთუოდ უნდა ვთქვა: ბოდიშს გიხდით, თუ ზედმეტად ნატურალიზებულად მოგეჩვენებათ წინამდებარე წერილის ზოგიერთი ეროტიკული პასაჟი!..

**დავით მხეიძე**




ⓞ თვალსაზრისი

# სააკაშვილის შეცვლა ადვილი არ არის

(მესამე გვერდიდან)

**– ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების სანაცვლოდ ნატოზე უარის თემა არ შეიძლება იყოს მოსკოვსა და თბილისს შორის ვაჭრობის საგანი? ლავროვმა უკვე განაცხადა, რომ ამგვარი წინადადება „ეგზოტიკურად გამოიყურება“, მაგრამ მოსკოვი საქართველოსთან პრინციპებით ვაჭრობას არ აპირებს...**

– რუსეთის საგარეო საქმეთა მინიტრმა სერგეი ლავროვმა მოსაზრება მკაცრად გამოხატა, მაგრამ, ამასთან ერთად, რეალურად არსებულ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება. რუსეთსა და საქართველოს შორის ამგვარი „გარიგების“ იდეა ახალი არ არის, მაგრამ ამას ყოველთვის ახლდა მორალური და პოლიტიკური წინააღმდეგობა. ამ შემთხვევაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ადამიანები აღმოჩნდებოდნენ „ვაჭრობის საგანი“.

პოლიტიკური წინააღმდეგობები ასეთი იყო: **პირველ რიგში,** იმის გამო, რომ აგვისტოს ომამდე მოსკოვსა და თბილისს შორის ნდობის ხარისხი დაბალი იყო, არც მოსკოვსა და არც თბილისში არ შეეძლოთ ჰქონოდათ იმედი, რომ მხარეები მათ შორის მიღწეულ შეთანხმებებს შეასრულებდნენ. **მეორე,** ამგვარი „გარიგება“ ორივე ქვეყნის აუდიტორიისთვის იქნებოდა წარსადგენი, რაც არც ისე მარტივი ამოცანა იმის გამო არ იქნებოდა, რომ საქართველოს საზოგადოებისთვის „დასავლური არჩევანი“ და დამოკიდებულება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისადმი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი სსრკ-ს დაშლის კომპენსირების სიმბოლო იყო.

**მესამე** – მოსკოვს დნესტრისპირეთში მსგავს პრინციპებზე კონფლიქტის მოწესრიგების მცდელობის ჩაშლის გამოცდილება უკვე ჰქონდა. ამ გამოცდილებამ რუსეთი დაარწმუნა – იმ შემთხვევაშიც კი, მოსკოვი, თბილისი, სოხუმი და ცხინვალი რაიმეზე რომ შეთანხმებულიყვნენ, ეს შეთანხმებები ვაშინგტონისა და ბრიუსელისგან დასაცავი გახდებოდა და მათივე მხრიდან ამ შეთანხმებების ჩაშლის მცდელობა, კიდევ გადასალახავი იქნებოდა.

**მეოთხე** – მოსკოვსა და თბილისს შორის „გარიგება“ დღის წესრიგიდან არ მოხსნიდა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური კონფლიქტების მოწესრიგების აუცილებლობას, ანუ საქართველოს სსრ-ს ფარგლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემთხვევაში, გადაუწყვეტელი რჩებოდა, როგორც, ზოგადად, აფხაზი და ოსი უმცირესობის უსაფრთხოების ფორმალური თუ არაფორმალური გარანტიების, ისე – ამ რესპუბლიკების ხელისუფლებათა უსაფრთხოების საკითხებიც. თუ გავიხსენებთ 90-იანი წლებიდან მოყოლებული ორივე კონფლიქტის მოგვარების მცდელობებს, დავინახავთ, რომ პოლიტიკოსებიც და დიპლომატებიც თავს სწორედ ამ საკითხებზე იმტვრევდნენ. შემდეგ ამ „კოქტეილს“ საქართველოს ნატოში გაწევრების თემაც დაემატა.

უდავოა, რომ „ერთჯერადი გარიგებით“ ეს პრობლემები ვერ გადაწყდებოდა. საჭიროა გრძელვადიანი, თანამიმდევრული და შეთანხმებული ძალისხმევა, არა იმიტომ, რომ ისინი შეთანხმებული იყოს, საჭიროა ნდობა, ახალი იდეები და ერთმანეთისთვის მათი თავისუფლად გაზიარება, ასევე – უსაფრთხოების ერთიან პრინციპებზე საუბარი.

ჩემი აზრით, უსაფრთხოების განუყოფელი პრინციპი, რომელიც ცოტა ხნის წინათ თავის სტატიაში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა ახსენა, შესაძლოა, ფასეული ყოფილიყო იმ პრობლემის გადასაწყვეტად, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, განუყოფელმა უსაფრთხოებამ საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოება იმის მიუხედავად უზრუნველყოს, თუ რა სტატუსი ექნებათ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს.

ახლა ჩვენ არა გვაქვს საერთო პრინციპები, იდეათა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის საშუალება და არც ნდობა. ქართველი ექსპერტები ერიდებიან მოსკოვში ჩამოსვლას, რუს ექსპერტებს თბილისში არ უშვებენ.

**– რა გამოდის, მოსკოვს თბილისთან დიალოგის დაწყება და ურთიერთობების აღდგენა ყოველგვარი პირობების გარეშე სურს და კრემლში იმედოვნებენ, რომ საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვას შეეგუება?**

– დიპლომატიური ურთიერთოების აღდგენა ახლა, პრაქტიკულად, შეუძლებელია და ეს ყველამ იცის. მოსკოვსა და თბილისს შორის დიალოგი ორივე მხრიდან წინასწარი პირობების გარეშეა დასაწყები. ამ დიალოგს შესაძლოა, ჰქონდეს სხვადასხვა ფორმატები და მიმართულებები. რაც უფრო მეტი იქნება ამგვარი ფორმატებიცა და მიმართულებებიც, მით უკეთესი.

საჭიროა, ორივე მხარის ხელისუფლებებმა ნდობის აღდგენისთვის არაპოლიტიკური ზომები გაატარონ – რუსეთმა სავიზო რეჟიმი იურიდიულად და ფაქტობრივად გაამარტივოს, თბილისმა საქართველოში რუსი მოქალაქეების შეუშვებლობის უფლება უფრო დაფიქრებულად გამოიყენოს. ახლა მთავარია, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის სივრცე შეიქმნას, რომლის დროსაც ახალი იდეების დაბადებისა და განხილვის შესაძლებლობა იქნება.

**კობა ბენდელიანი**

ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

# მოსწავლეებო, სწორდით! სმენა!!!

**სამხედროს გაკვეთილებს სკოლაში ომგადახდილი მასწავლებელი, ბატონი გაიოზი გვასწავლიდა. ერთი თვალი სწორედ იმ ომში დაკარგა და მეკობრესავით ოვალური ფორმის შავი ნაჭრით და წვრილი ზონარით ჰქონდა აკრული დაკარგული თვალის ადგილი. ამიტომაც ბავშვები „ციკლოპას“ ვეძახდით ცალთვალა მასწავლებელს...**

შემდეგ უნივერსიტეტში გვქონდა სამხედროს ლექციები. არტილერისტები უნდა გამოვსულიყავით, მაგრამ მეოთხე კურსზე გადასულებს მოგვიხსნეს სამხედრო სწავლება და ასე დავრჩით უსწავლელი.

ჯარშიც არ წამიყვანეს და დავრჩი „გაუნათლებელი ჯარისკაცი, თანაც, გამოუსადეგარი ომის დროს“.

ისე წავიდა ჩემი ცხოვრება, რომ მონადირეობისთვისაც ვერ მოვიცალე...

ახლა კი სხვა დრო დადგა და კომუნისტების მიერ შემოღებული სამხედრო სწავლება თურმე უნდა აღდგეს „საჯარო სკოლებში“!

„საჯარო“ ტყუილად დაარქვეს საშუალო სკოლებს? სწორედაც რომ ჯარისკაცები უნდა გამოზარდოს „საჯარო სკოლამ“! მეცნიერი, ხელოვანი, ექიმი, ინჟინერი ვის რაღად უნდა? ახლა ომში უნდა გამოვიჩინოთ ის თავი, რომელიც წინა ომებში მოგვეჭრა.

დღეს „საჯარო სკოლებში“ სწავლის დონე ისეთია, რომ ბავშვებმა ცოდნის მიღების ნაცვლად „უნარ-ჩვევები“ უნდა გამოუმუშაონ. ის, რომ ავტობუსში მოხუც ან ბავშვიან ქალს ადგილი არ უნდა დაუთმონ, ჩვენმა მოსწავლეებმა უკვე კარგად იციან. ისიც იციან, რომ მთავარია კომპიუტერზე თამაში და ინგლისური ენა იცოდეს, თუნდაც აფრიკელი ზანგის დონეზე. ახლა კი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საგანი დაემატება: „უნარ-ჩვევები სამხედრო საქმეში“.

ნუ გგონიათ, რომ საქმე ამით დამთავრდება. ხომ გვყავს ტელევიზიაში შორენა მასწავლებელი? იმედია, რომ ახალი მინისტრი „როსკიპების უნარ-ჩვევების“ გაკვეთილებსაც შემოიღებს და სხვა განათლება აღარც იქნება საჭირო კარგი სამსახურის საშოვნელად.

„სამხედროს გაკვეთილები“ კი მართლაც ძალზე საშური საქმეა. საშური რომ არ იყოს, ხომ არ ჩაერეოდა ამ სკოლების გადამრჩენ საქმიანობაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ისეთი სამინისტროები, როგორებიცაა თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროები?

ჰოდა, რადგან პრეზიდენტმა ამ სამინისტროებს უბრძანა: „სდექ! სწორდი! სმენა!“, „მაღალ კლასებში უნდა აღდგეს სამხედრო-პატრიოტული აღზრდის კურსი“! აბა რა ჯარისკაცები არიან, მთავარსარდალს თუ არ მოუსმინეს?

რა ვუყოთ, ამ მთავარსარდალმა გორში ქვას რომ ფეხი წამოჰკრა და ტროტუარზე წაიფორხილა, მართლა თვითმფრინავის გადაფრენის კი არ შეეშინდა, უბრალოდ იფიქრა, „ხალხი არ დავლუპო და მთავარსარდლის გარეშე არ დავტოვოო“.

არა და, უკრაინაში უსწავლია „სამოქალაქო თავდაცვა“ და თავიც დაიცვა. ახლა ბავშვებმა უნდა ისწავლონ მიწაზე ფორთხიალი, თვითმფრინავის ხმა რომ შემოესმებათ.

მთავარი კი ისაა, რომ ბავშვი უნდა მიეჩვიოს: როცა მასწავლებელი უბრძანებს „სდექ!“, უნდა წამოდგეს და გაჩერდეს, ბრძანებაზე „სწორდი!“ – უნდა გაიჭიმოს, ხოლო ბრძანება „სმენა!“ – უნდა ისმინოს და ყველაფერი ის შეასრულოს, რასაც უბრძანებენ.

არ შეასრულებს და იქვე იქნება „სამხედრო ტრიბუნალი“ და ყოფილი „ციხეების უფროსიც“ ძველ პროფესიას გაიხსენებს.

ბავშვებმა თურმე „პირველადი სამედიცინო დახმარების“ უნარ-ჩვევებიც უნდა აითვისონო. რასაც სკოლაში ბავშვები ჩხუბობენ და ერთმანეთს ჯოხებს ურტყამენ, ეს მართლაც საჭირო საქმეა, მაგრამ რადგან ჩვენთან სამედიცინო დახმარება ფასიანია, ეს პირველადი დახმარებაც ფასიანი ხომ არ გახდება? შეაბამენ რამდენიმე გოგონას წითელჯვრიან ხელსაბამს და ჩაუდებენ „ფართუკის“ ჯიბეში ბამბას და ბინტს. ჰოდა, ურტყან ჯოხები ერთმანეთს ბიჭებმა, „პანჩურის“ ამორტყმა ხომ „სოდ“-ის თანამშრომლებისგან ისწავლეს?

ისე, თუ ერთ მინისტრის მოადგილეს „პანჩური“ უთავაზეს, ვითომ სკოლის დირექტორებს დაინდობენ ბავშვები?

აი აქ კი საჭიროა „სამხედროს მასწავლებელი“, ცალთვალაც კი, რომელიც ბრძანებს „სდექ!“ და სკოლის დირექტორიც შეიძლება გადარჩეს.

თურმე, მაღალი კლასის მოსწავლემ სკოლის მერხიდანვე უნდა შეისწავლოს აუცილებელი საკითხები (ეს „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ ირაკლი ალადაშვილის სტატიაში იყოძ:

1. სამოქალაქო თავდაცვა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი საჰაერო და საარტილერიო დაბომბვების, ასევე სტიქიური უბედურების დროს და ა.შ. (ეს, ჩემო ბატონო, ჩვენმა ბავშვებმა უკვე იციან მთავარსარდლთან დაკავშირებულ გორის კადრებიდან. სტიქიურ უბედურებებს ტელევიზიითაც ხედავენ, ხოლო ჩამონგრეულ მრავალსართულიან სახლებს თბილისში რა გამოლევს?ძ

2. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა (ეს კარგი და ცოტა დაგვიანებულიც კია, თანაც, როგორც ვატყობ, სარფიანი და საჭირო საქმეა საჯარო სკოლებში მოსწავლეთა „დისციპლინას“ თუ გავითვალისწინებთძ.

3. ქართული არმიის საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის შესწავლა (ეს მთლად უკეთესი. ჯარისკაცად ვინც არ გამოდგება და ავღანეთში არ წავა, შეუძლია კრიმინალებს უკვე „განათლებულის რანგში“ შეუერთდეს.




ბატონმა ირაკლიმ ისიც გვამცნო, რომ „ამ თემებს სწავლების პროცესში ალბათ დაემატება საქართველოს ომების ისტორია და გზებზე მოძრაობის წესებიც“.

რაღა გვიჭირს? საქართველოს მთელი ისტორია ისედაც ძირითადად ომების ისტორიაა, ხოლო გზებს სწორედ იმიტომ ვაშენებთ, რომ ბავშვებმა მათზე მოძრაობის წესების დაცვით იარონ!

უფრო მეტიც, ბატონ ალადაშვილს (არ ვიცი მისი სამხედრო რეგალიებიძ თურმე იმედი აქვს, რომ „მასაც ჰკითხავენ აზრს, თუ როგორ უნდა ჩაისახოს სამშობლოს დამცველის სული მერხთან მსხდომ ახალგაზრდებში...“

ოჯახში, ბატონო ირაკლი, ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობით და არა „მარშირებით“ საჯარო სკოლის ეზოში ან იმ „პატრიოტულ ბანაკებში“, რომელიც პრეზიდენტმა მოაწყო და ტელევიზიამაც გააშუქა.

ან როგორ გინდათ სამშობლოს დამცველის სულის ჩასახვა ახალგაზრდებში, როცა ქუთაისში დიდების მემორიალი ააფეთქეს? რა დღეში არიან ომში დაღუპული გმირების ოჯახის წევრები?

მაინც, რამდენი რამ აქვთ სასწავლი ამ საწყალ ბავშვებს? სადღა ექნებათ სხვა საგნებისთვის დრო?

თუმცა, სხვა საგნები ალბათ აღარცაა საჭირო, რადგან ბავშვების „გამოლენჩების პროცესი“ სკოლებში კარგა ხანია დაიწყო და დღევანდელი სასწავლო პროგრამებიც ამას დიდი წარმატებით ემსახურებიან. დაიწყება ტრადიციული საგნების შემცირება, რასაც უთუოდ მასწავლებელთა შემცირება მოჰყვება და მათ გადამდგარი კაპიტნები და მაიორები შეცვლიან!

და დაიწყება „ომობანას თამაშები“ ჩვენს საჯარო სკოლებში მშობლების გულის გასახეთქად და მთავარსარდლის საამებლად.

სწორდით, ბავშვებო, სმენა!!!

**მერაბ ჯიბლაძე**
„ქართული აკადემია“, „თეთრები“

რეფორმა ქართულად

# სოფელი უვეტერინაროდ დარჩა!

**სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგში რეფორმის ჩატარებას მაშინ აქვს აზრი, თუ ეს ღონისძიება უახლოეს პერიოდში, ან ახლო მომავალში მაინც სასურველ შედეგს გამოიღებს. არასწორად ჩატარებული რეფორმა კი მხოლოდ ზარალის მომცემი და სახელმწიფო სახსრების უაზროდ ხარჯვაა და მეტი არაფერი.**

იმისთვის, რომ მეცხოველეობაში თავიდან ავიცილოთ დაავადებები, გავზარდოთ სულადობა და პროდუქტიულობა, აუცილებელია კარგად აღჭურვილ და მაღალკვალიფიციურ ვეტერინართა სამსახურის შექმნა. ბოლო წლებში ამ დარგში ჩატარებულმა რეფორმამ, ჩემი აზრით, დადებითი შედეგი ვერ გამოიღო და პირიქით, ცხოველთა არადროულმა და არასრულფასოვანმა მკურნალობამ, ამ დარგში მომუშავე კადრების სიმცირემ, მკვეთრად დასცა ქვეყანაში როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ისე ღორის და ფრინველის სულადობა და შესაბამისად პროდუქციის წარმოება. გახშირდა ბრუცელოზის, ცოფის, ჯილეხისა და თურქულის დაავადებები.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2000 წელთან შედარებით 2008 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 131,9 ათასი სულით, მათ შორის ფურის და კამეჩის – 85,7 ათასი სულით, ღორის 35,5 ათასი სულით, ცხვრისა და თხის 24,0 ათასი სულით. სულადობის შემცირების თვალსაზრისით, მეტად სავალალო მდგომარეობაა აჭარაში, შიდა ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში. ხოლო ღორის სულადობა საქართველოს ყველა რაიონშია შემცირებული. დაეცა მეფრინველეობის სულადობაც და 2000 წელთან შედარებით შეადგენს 1143,3 ათას ფრთას. იმერეთში შემცირებულია 448 ათასი ფრთით, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში – 45,3, შიდა ქართლში – 101,7 ათასი ფრთით და ა. შ.

მეცხოველეობაში სულადობის შემცირებამ, ბუნებრივია, გამოიწვია მეცხოველეობის პროდუქტების შემცირებაც. 2000 წელთან შედარებით, 2008 წელს ხორცის რაოდენობა შემცირდა 54,2 ათასი ტონით, ღორის ხორცი – 23,5 ათასი ტონით, ცხვრისა და თხის – 5,0 ათასი ტონით და ფრინველის ხორცის – 800 ტონით.

ჯეროვანი მკურნალობის ჩაუტარებლობის გამო ბოლო ხანს მკვეთრად მოიმატა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაცემამ და 2000 წელთან შედარებით, 2008 წელს შეადგინა 46,3 ათასი სული. პირუტყვის დაცემის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება იმერეთის, სამეგრელოს, ზემო სვანეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონები. ანალოგიურად, ღორის, ცხვრისა და ფრინველის დაცემის მაჩვენებლები მომატებულია სამეგრელო-ზემო-სვანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში.

მეცხოველეობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა, ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტების აზრით, იმის ბრალია, რომ ვეტერინართა კადრები უმოწყალოდ შეამცირეს და თითოეულ რაიონში მხოლოდ 2 ან 3 სპეციალისტი დატოვეს. რეფორმით გათვალისწინებული იყო რაიონებში შექმნილიყო სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე ვეტერინართა სამსახურები, რაც დღემდე არ განხორციელებულა. ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი რაიონში ვეტექიმთა შტატების შემცირებისა!

საქართველოს რაიონებში შტატით დღეს მხოლოდ 120-მდე ვეტერინარი მუშაობს, მათ შორის ლანჩხუთის, ყაზბეგის, ამბროლაურის, აბაშისა და ხობის რაიონებში თითო ვეტექიმია! რუსთავის საქალაქო სამმართველოში შტატით 3 ვეტექიმია, ეს მაშინ, როცა ამ ქალაქში მეცხოველეობა საერთოდ არ არის! ხოლო მის მეზობელ უმსხვილეს გარდაბნის რაიონში მხოლოდ 2 ვეტექიმის შტატია გათვალისწინებული.

საგულისხმოა ისიც, რომ სამინისტროს ვეტერინარიის ზედამხედველობის დეპარტამენტში შედის 4 სამმართველო, სადაც 23 სპეციალისტი მუშაობს, რაც, ჩემი აზრით, შტატების გაბერვაზე მიგვანიშნებს. ალბათ, უკეთესი იყო მათი ნახევარი რაიონებზე ყოფილიყო გათვალისწინებული.

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, ვეტერინარიაში ჩატარებულმა არასწორმა რეფორმამ ვერ გაამართლა და საჭიროა ამ მიმართულებით რადიკალური ზომების გატარება.

**ირაკლი დვალი**

სამეგრელოს მხარე

# „გერგებათ, მაგრამ არ გერგებათ!“

## ანაკლიის „გაფურჩქვნას“ ადგილობრივების კერძო ქონება ეწირება!

**კერძო საკუთრების ხელყოფა, საქართველოში „ვარდების რევოლუციიდან“ რომ დაიწყო და შემდეგ რამდენიმე ხნით მინელდა, ახლა ისევ განახლდა. ზუგდიდის რაიონის ზღვისპირა სოფელ ანაკლიის მცხოვრებთ ხელისუფლებამ ჯერ სახნავ-სათესი ფართობები წაართვა, მერე ესეც არ აკმარეს და საკარმიდამო მიწებიც წაჰგვარეს!**

ანაკლიელთა აწიოკება მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოში პრეზიდენტმა ანაკლიის ინფრასტრუქტურის შეცვლა და იქ საკურორტო მშენებლობის დაწყება გადაწყვიტა. მიწების უკანონოდ გაყიდვისა და კერძო საკუთრებაში არასწორად გაფორმება-გატარების მოტივით, ანაკლიის ყოფილი გამგებელი თემურ ეფენია დააკავეს, რომელიც დაკავების პერიოდში ზუგდიდის სამხედრო კომისრად მუშაობდა. თანამდებობიდან გაათავისუფლეს აგრეთვე საჯარო რეესტრის ხელმძღვანელებიც.

ანაკლიელებმა დახმარებისთვის საქართველოს „რესპუბლიკურ პარტიას“ მიმართეს და პარტიაც დაინტერესდა მათი ბედით. „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი ანაკლიელებს ზუგდიდში შეხვდნენ და მათი გასაჭირი მოისმინეს.

„ანაკლიელთა უმრავლესობა საშინელ დღეში ჩავვარდით. ხელისუფლება საკუთრებაში არსებულ მიწებს გვართმევს, გვეუბნებიან თქვენი იყო, ახლა ჩვენიაო! სანაპიროდან ნახევარი კმ-ის დაშორებით 1700 კვ. მ. მიწის ნაკვეთი მქონდა, რომელიც 20 წელია ჩემი საკუთრებაა. საკუთრების დამადასტურებელი ყველანაირი საბუთი გამაჩნია. 2008 წლის მარტში გავატარე საჯარო რეესტრში და მივიღე საკუთრების უფლება. სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ეს მიწა ჩემთვის ჩამოურთმევიათ, როდესაც მივაკითხე საჯარო რეესტრს და ამონაწერი მოვითხოვე, მითხრეს – მიწა არასწორად იყო გატარებული და ამიტომაც ჩამოგერთვაო“, – დაიჩივლა ანაკლიის მკვიდრმა, ქალბატონმა ეკა გვილიამ.

„რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერმა დავით უსუფაშვილმა დახმარება და თანადგომა აღუთქვა ანაკლიელებს. „ძველი გამოცდილებიდან გამომდინარე ხელისუფლებამ ისევ დაიწყო მოსახლეობის დაწიოკება – წაართვეს ჯერ სავარგულები, შემდეგ საკარმიდამო მიწებს მიადგნენ. არც ჩვენ ვართ წინააღმდეგნი, რომ ანაკლია კეთილმოეწყოს, მაგრამ არა ძალადობრივი გზით. ყოველნაირად შევეცდებით, დავიცვათ ანაკლიელთა შელახული უფლებები“, – თქვა დავით უსუფაშვილმა.

ხელისუფლება წართმეული მიწების სანაცვლოდ არაფერს სთავაზობს მოსახლეობას. არადა, ხომ შეიძლება ფულადი კომპენსაცია ან მიწების გადაცვლა? „მიწები გერგებათ, მაგრამ... არ გერგებათო“ – ცინიკურად აღიზიანებენ მოსახლეობას. ასე რომ, ანაკლიელებს, რომლებიც ადრე ითხოვდნენ დაეკანონებინათ მათთვის ის სავარგულები და სახნავ-სათესი მიწები, რომლითაც ისინი წლობით სარგებლობდნენ, ხელისუფლებამ არა თუ დაუკანონა, არამედ ის მიწებიც წაართვა, რომლებიც დაკანონებული ჰქონდათ.

ასეთია მწარე რეალობა იმ ქვეყნისა, რომელსაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების პრეტენზია აქვს.

**ლადო ქირია.**
ზუგდიდი

ფრთხილად!

# თქვენ იდიოტებო!

## გლობალური დათბობა - კაცობრიობის გლობალური პრობლემა

***ამას წინათ ჟურნალმა Rolling Stone თავის რეიტინგში სილვიო ბერლუსკონი კით რიჩარდსისა და მისთანანის გვერდით ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კაზანოვა შოუმენად დაასახელა. მერე ბერლუსკონის ცხვირ-პირიდან სისხლი ადინეს „სცენაზე“ ნასროლი ვარდების თაიგულის ეკლებით კი არა, ქვის კონსისტენციის, არაყვავილოვანი „სუვენირის“ ტყორცნით, რამაც იტალიის როკ-პოლიტიკოსს კიდევ უფრო მეტი „სთოუნური“ ელფერი შესძინა. ცნობილი სამუსიკო ჟურნალი როკ-მუსიკის ოლიმპის გარდა, პოლიტიკური ოლიმპის ამალაზეც წერს და, როგორც წესი, ყოველგვარი სიყვარულისა და რესპექტის გარეშე. გამონაკლისს არც „როლინგების“ 21 იანვრის, 1096-ე ნომერი წარმოადგენს. ჟურნალის პრიალა შავ, შეიძლება ითქვას, სამგლოვიარო ყდაზე დიდი წითელი ასოებით აწერია: „თქვე იდიოტებო!“. არა, ეს არც ბობ დილანის „იდიოტური ქარის“ და არც Green Day-ის „ამერიკელი იდიოტის“ ინტერპრეტაციაა. ჟურნალი ჯერ გვამცნობს, რომ როკ – ენ-როლის „დიდების დარბაზი“ ამა წლის 15 მარტს, ნიუ-იორკში პიტერ გებრიელისა და ფილ კოლინზის შვილობილ Genesis-ს თავის წევრად ოფიციალურად აღიარებს. არა, ესენი ნამდვილად არ არიან იდიოტები, რახან ამგვარი პატივისცემა, სამუსიკო აღიარება და ფული მოიხვეჭეს. იდიოტები სხვები არიან.***

ამავე გამოცემის ფურცლებზე იმათი ჩამონათვალიცაა, რომლებიც არა თუ დიდების, პირიქით – პლანეტის „სირცხვილის დერეფანში“ გაამწესეს (ბერლუსკონის იქ ვერ ნახავთ, რადგანაც ეს ამჯერად ლოკალური, მაგრამ ამავე დროს გლობალური „ცუდი ბიჭების“ სიაა) და თანაც ზედმეტსახელებიც მიაკერეს. „შეხვდით პლანეტის ყველაზე ცუდ მტრებს“ – გვთავაზობს „როლინგი“ და ამ სიცუდის საპრიზო ადგილს ბარაკ ობამას ფინანსურ მრჩეველს უორენ ბაფეტს ანიჭებს. ანტიტერორისტული კამპანიის წამოწყების დროსაც კი პოლიტკორექტულნი საჯაროდ სიტყვის „მტერი“ ხსენებას ერიდებოდნენ და, აჰა, მივაღწიეთ კიდეც იმ დღეს, როცა ალ-ყაიდის ძმადნაფიცები კი არა, მტრების სიაში კორპორატიული ამერიკის მოქალაქეებიც მოხვდნენ. თუმცა მათ არც ინტერპოლი დაეძებთ და არც FBI. თიმ დიკინსონის შვიდგვერდიანი სტატია „კლიმატის მკვლელები“ გლობალური დათბობის 17 მთავარ „ჩემპიონს“ გვაცნობს. მე-14 არც ისე საპატიო ადგილი კი ამერიკისა და საქართველოს ეროვნულმა გმირმა, არიზონის სენატორმა ჯონ მაკკეინმა დაიმსახურა. ჟურნალმა მტკიცედ გადაწყვიტა: დროა ქვეყანა და მსოფლიო თავის გმირებს იცნობდეს, შეთავსებით მტრებს და თანაც ყველაზე აღვირახსნილებსო... ბარაკ ობამა და ალ გორი ამ ჩამონათვალში რიგი მიზეზების გამო ვერ მოხვდნენ. არა მგონია, მხოლოდ ტიტულოვანი ნობელის გამო. როგორც ჩანს, ამავე მიზეზით არაა ახსნილი ამერიკის პრეზიდენტის დანაპირების – ლობისტი ორგანიზაციების გაქანებისა და მავნებლობის შეკვეცის შეუსრულებლობა. ალბათ, ეს ისევე რთული აღმოჩნდა, როგორც გუანტანამოს ციხის დახურვა. თანაც ამერიკაში ლობისტური ორგანიზაციები სავსებით ოფიციალური სტრუქტურებია, გადასახადებს იხდიან, სამუშაო ადგილებსა და კონიუნქტურას ქმნიან... კონიუნქტურის გარეშე კი ვერც Wall Street-ი ვარგა, ვერც წინასაარჩევნო რბოლა და ვერც კაპიტოლიუმის გადაწყვეტილებები. ობამას ადმინისტრაციას ცალკე ლობისტური კომპანიის დაქირავება მოუწევს, რათა ამ უკანასკნელმა ანტილობისტური კამპანია აწარმოოს და „მტრულ“ კომპანიებს ლობისტური კამპანიების წარმოების სურვილი და შესაძლებლობა გაუქროს... თუმცა ობამა მხარდამჭერი დემოკრატების სიმცირეს არ უჩივის, მაგრამ ეს ლობისტური საქმის ასალაგმავად საკმარისი არ ყოფილა. ეტყობა, იმიტომ, რომ მერე კონიუნქტურის შემქნელი სანთლით და არა ელექტროდენის მძლავრი ჭავლით არ იქნეს საძებნელი.

უორენ ბაფეტი „როლინგ სთოუნური“ ზედმეტსახელი – „სპეკულიანტი“) ცნობილი ამერიკელი ინვესტორია, რომელმაც პრეზიდენტ ობამას მცდელობა გლობალური დათბობის შეჩერების შესახებ, წარმატებით დაასამარა. ამისთვის კი ბაფეტმა ულტრა რესპუბლიკელების ტყუილი გამოიყენა. „კლიმატის კანონპროექტის“ მიღება კანონშემოქმედთა მიერ იგნორირებულ იქნა, რადგან ბაფეტმა დაიჯინა: ამ კანონპროექტის თანახმად ძალიან ღარიბი ხალხი იძულებული იქნება დენისთვის უფრო მეტი ფული გადაიხადოსო. არადა ამ დროს რეალურად კონგრესის საბიუჯეტო ოფისის თანახმად, ამგვარი მომჭირნეობა უღარიბეს ამერიკელებს წელიწადში მხოლოდ 40 დოლარს შეუნარჩუნებს. ბაფეტი თავის მილიარდებს ნახშირორჟანგით დამბინძურებელ ინდუსტრიებში აბანდებს და ამით მსოფლიოს გაცხელებისგან დიდ ფულს შოულობს. ობამას მრჩეველი სხვა კომპანიების, მაგალითად, Berkshire Hathaway-ის გარდა ფლობს 26 მლრ-იან BNSF-ს, სარკინიგზო კომპანიას, რომელიც ბაფეტის კარიერაში ყველაზე ძვირი შენაძენია. BNSF ამერიკაში ნახშირის ყველაზე დიდი გადამზიდი კომპანიაა, რომელსაც ყოველწლიურად 300 მლნ. ტონა ენერგომატარებელი გადააქვს. ეს საკმარისია იმისთვის, რომ ამერიკელთა სახლების 10 პროცენტი განათდეს, რომელთა უმრავლესობა თავის მხრივ გაღარიბებულია Berkshire-ის სხვა შვილობილი კომპანიის Mid American Energy-ის მიერ. ეს უკანასკნელი ამერიკის მეორე კომპანიაა (პირველზეა Bank of Chine), რომელმაც დაბინძურებაში შეტანილი წვლილის შესახებ თავად არაფრით განაცხადა და რომლის უტილიზაციის პროცესმა 2008-ში მნიშვნელოვანი ნახშირორჟანგულ-ემისიური ინტენსივობა (65 მლნ. ტონა) გამოიწვია.

* * *

**2007-ში მსოფლიოს უმდიდრესმა მედიაბარონმა რუპერტ მერდოკმა (ზედმეტსახელი „დეზინფორმატორი“) განაცხადა, რომ მას სწამს, რომ გლობალური დათბობის „კატასტროფული საფრთხე“ ბოლოს და ბოლოს საკადრის ყურადღებას მიიპყრობს;** პირობა კი დადო, რომ არა მარტო მისი News Corp, არამედ თავადაც 2010-ში ნახშირის აქტიური „გამანეიტრალებელი“ გახდება და მისი „ნიუსები“ ნახშირორჟანგის გამონაყოფისგან მიყენებულ ზარალს ოპერატიულად გვამცნობს. მაგრამ ამ განცხადების შემდეგ მერდოკი და მისი „კორპი“ გლობალური დათბობის შესახებ ყველაზე დიდი დეზინფორმაციის გამავრცელებელი გახდა. ტელეარხმა Fox Business-მა განაცხადა, რომ „ნახშირის მითის“ ხანგრძლივობა მეცნიერებს გვარიანად აბნევსო. The Wall Street Journal-ი აგრძელებს ტყუილის გავრცელებას არა მარტო გლობალური დათბობის, არამედ ობამას მცდელობის შესახებაც შეაჩეროს ეს პროცესი, ხოლო The New York Post გვარწმუნებს, რომ კოპენჰაგენის სამიტი ოდნავ მეტი იყო, ვიდრე „თალლითური მსახიობობა“, რათა განვითარებადი ქვეყნების კლეპტოკრატებს გაეროსთან კარგ ურთიერთობაში მყოფი ბიუროკრატების საშუალებით ტრილიონობით დოლარი მიეღოთო.

„ცრუ პროტესტანტი“ – ასე უწოდა „როლინგ სთოუნმა“ American Petroleum Institute (API)-ის პრეზიდენტს ჯეკ ჯერარდს, რომელიც მეწინავე წარმომადგენელია ნავთობისა და გაზის ისეთი გიგანტი კომპანიებისა, როგორიცაა Exxon, Shell, BP, Hallibruton. ამჯერად API მოითხოვს, რომ ამერიკა ნახშირკონცენტრირებულ ეკონომიკას“ დაუბრუნდეს. თავად ჯერარდო კი სცენის უკან კლიმატის კანონპროექტის ჩასაგდებად აქტიურად მუშაობს და ნახშირით დაბინძურების შეჩერების ინიციატივებს შეკვეთილ საპროტესტო აქციებსაც კი უწყობს (როგორც ჩანს, ესეც ლობისტობის მავნე ჩვევის გამო...).



„კაცი, რომელიც იწვის“ მსოფლიოს უდიდესი ნავთობკომპანიის – ExxonMobil-ის პრეზიდენტი რექს ტილერსონია. იგი დეკლარირებს, რომ „სითბური გაზის ემისია ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც კლიმატის ცვლილებაზე მოქმედებს“, მაგრამ ფაქტი სულ სხვა რამეს გვამცნობს: Exxon-ი წელიწადში 397 მლნ. ტონა $CO_2$-ის გამოყოფაზეა პასუხისმგებელი. 2008-ში რექს ტილერსონმა „კლიმატის კანონპროექტის“ ჩაგდების ლობირებაზე 28 მლნ. დახარჯა.

ქვეყნის 17 „უცუდესი გმირის“ სიაში „ბინძური დემოკრატიც“ აღმოჩნდა, თანაც მართლაც ოფიციალური დემოკრატი ანუ ამერიკის „ვირის პარტიის“ წევრი, ამ გალერეის ერთადერთი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ლუიზიანას სენატორი მერი ლანდიეუ, რომელიც ცნობილია როგორც მგზნებარე Pro- Drilling (ანუ ნავთობის საძიებელი ბურღვების) ლობისტი. „უარყოფის შემსრულებელი“ მარს მორენო ნავთობკომპანიის მიერ დაფინანსებული Climate Depot-ის ვებ-საიტის დამფუძნებელია და აცხადებს, რომ გლობალური დათბობის მეცნიერები „შიშის წამახალისებელ ბიზნესში არიან“ და ამ უკანასკნელთ იგი „ცივილიზაციასთან ომის“ წარმოებაში ადანაშაულებს. „ღმერთის წონის ერთეული“ ოკლაჰომას რესპუბლიკელი სენატორი ჯეიმს ინჰოუფია, თანაც სენატის გარემოს დაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც აცხადებს, რომ **გლობალური დათბობა ეს არის „ყველაზე დიდი სიცრუე, რომელიც ამერიკელი ხალხისთვის გაითამაშეს“, არ ადარდებს ზღვის დონის მატება, რადგანაც თუ ყველა მცდელობა მარცხით დასრულდა, „ღმერთი ისევ იქ არაა?“.**

სტატიის ავტორმა ზედმეტსახელი „ხელის მატყუარა“ წარმომადგენელთა პალატის უმრავლესობის ყოფილ ლიდერს დიკ ჯეპარდტს შეარქვა. იგი ყველაზე დიდი ნახშირკომპანიის Peabody Energy-ის ლობისტია. „ძალის მოთამაშე“ კი დეივიდ რათსკლიფია – მსოფლიოში რიგით მეორე დამბინძურებელი დენის კომპანიის – Southern Caompany-ის პრეზიდენტი, რომელსაც „თავის ჯარში“ 63 ლობისტი ჰყავს და ამიტომ კარგად ახერხებს „კლიმატის კანონპროექტის“ ჩაგდებას. მისი კომპანია უფრო მეტ ნახშირს წვავს, ვიდრე – მთელი ბრაზილიის სასარგებლო ენერგოწიაღისეული დაწვავდა. „ნიქნეიმი“ „ბრძენი“ სატელევიზიო სივრცის წარმომადგენელმაც დაიმსახურა. ჯორჯ ვილი ტელეარხ ABC-ისა და სხვა პრესგიგანტების კომენტატორია, რომელსაც ენერგოკორპორაციებისგან დაფინანსებულ “მეცნიერს“ უწოდებენ. იგი გლობალური დათბობის არსებობას უარყოფს. აშშ-ის კომერციის პალატის (აერთიანებს 23 კომპანიას) პრეზიდენტს ტომ დონოჰიუს „არაფრის მცოდნე“ და „კლიმატის დამბინძურებელთა საუკეთესო მეგობარიც“ შეარქვეს. შარშან პირველი 9 თვის განმავლობაში მისმა პალატამ 65 მლნ. დახარჯა, რათა კონგრესში ნახშირით დაბინძურების ლიმიტირების კანონპროექტი არ გასულიყო. კომპანია Massey Energy -ის ულვაშებიანი თავკაცი დონ ბლანკენშიფი – „ნახშირის ბარონი“ – ჟურნალში ამერიკული დროშის პერანგსა და „კეპში“ გამოწყობილი ამერიკული დროშის ფონზე საუბრობს. აპალაჩის მთების სიმდიდრის მფლობელი სავსებით გულახდილია და აცხადებს, რომ არ სურს, რომ რაიმე კანონმა მისი ბიზნესი გაანახევროს (თუმცა ამ მთებში მცხოვრებ მეშახტეებს შავი ფილტვების გამო სიცოცხლე განახევრებული კი არა, ლამის გამესამედებული აქვთ – **ი.მ.**)

„დამრტყმელი მეცნიერი“ პროფესიით ფიზიკოსი (ვირჯინიის უნივერსიტეტი) ფრედ სინგერია. 85 წლის კაცი თამბაქოს ინდუსტრიის ყოფილი რუპორია, რომელმაც გლობალური დათბობის “ცრუ მეცნიერები“ სააშკარაოზე გამოიყვანა. არიზონელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა ადრე, 2003-ში “კლიმატის ჩემპიონის“ ტიტულიც დაიმსახურა, როდესაც მან სენატორ ჯო ლიბერმანთან ერთად ცხარედ მიმდინარე დებატების მსგავსი კანონპროექტი სახელწოდებით „ხუფი (სითბურ გამონაბოლქვზე დასახუფი – **ი.მ.**) და ვაჭრობა“ წარადგინა. დღეს კი თიმ დიკინსონი ვიეტნამის ომის გმირს ზედმეტსახელად „თავდაყირას“ უწოდებს და დასძენს, რომ მას შემდეგ, **რაც მაკკეინმა ბარაკ ობამასთან საპრეზიდენტო არჩევნები წააგო, მთელს პლანეტაზე დაიბოღმა. ამჟამად არიზონელი სენატორი იმ კანონპროექტის დაბლოკვით იმუქრება, რომელიც ოდესღაც თავად წარადგინა, იტყუება მისი ღირებულების შესახებ და მის მიზნებსაც ამახინჯებს. „იმას, რასაც ობამას ადმინისტრაცია წარადგენს „ხუფი და ვაჭრობა“ კი არა, „ხუფი და გადასახადები“ ჰქვია“ – ამბობს მაკკეინი. ამ ჯერზე მან ოპოზიციონერის პოზა დაიკავა და ამით კორპორატიული ამერიკის 630 მლრ-ით დაბეგვრის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა. სავარაუდოდ მაკკეინის შეხედულებების მკვეთრი ცვლილება მის საეჭვო ელექტორალურ მომავალსაც უკავშირდება.**

17-წევრიან სიაში მე-15 ადგილზე „ჩაის სმის წვეულების“ ორი წარმომადგენელი, მულტიმილიარდერი ძმები კარლ და დეივიდ კოჰები მოხვდნენ. ისინი არა მარტო ამერიკის უდიდესი კერძო ენერგო-კომპანიის Kock Industries მფლობელები არიან, არამედ დიდი დეზინფორმატორების წოდებასაც ატარებენ. წლების განმავლობაში კოჰებმა და მათმა ფონდებმა მილიონები დახარჯეს ისეთ ორგანიზაციებზე, როგორიცაა Heritage Foundation, Competitive Enterprise Institute და Cato Institute (ეს სტრუქტურები ქართველებისთვის საკმაოდ ნაცნობია. იქ საქართველო – რუსეთ-ამერიკის პრობლემებს ხშირად განიხილავენ, განსაკუთრებით აგვისტოს ომის შემდეგ – ი.მ.). „როლინგ სთოუნის“ აზრით, Cato Institute ფულს ნახშირის კომპანიებისგან იღებს და გლობალურ დათბობის საკითხზე მომუშავე საერთაშორისო მეცნიერების დისკრედიტაციას ეწევა. ტეხასელ რესპუბლიკელ ჯოი ბარტონს კი „ინკვიზიტორი“ შეარქვეს. რატომ? იმიტომ, რომ ბარტონის აზრით, კლიმატი ბუნებრივი მიზეზების გამო იცვლება, **„ჩვენ არ შეგვიძლია ღმერთის რეგულირება“, ადამიანები უბრალოდ უნდა „გაგრილდნენ“ და ისწავლონ, თუ როგორ შეეჩვიონ ახალ პირობებს. პლანეტის ნომერ მე-17 „ინკვიზიტორმა“ ნავთობისა და გაზის მაგნატებისგან 1, 4 მლნ. დოლარი, ხოლო ელექტროდენის მწარმოებლებისგან 1, 3 მლნ. მიიღოო – დაასრულებს „მტრებისადმი“ მიძღვნილ თავის ოპუსს თიმ დიკინსონი.**

იხ. 8 გვ.

წლები

# დიდი მეცნიერი და მოღვაწე



## აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის დაბადების 100 წლისთავი

**საქართველოს ბევრი ჰყოლია საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერი, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს მეცნიერული აზროვნების განვითარებაში. მათი სახელები ერის საკუთრებად იქცა და მის მეხსიერებაში სამუდამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი. ამაგდარ ქართველ მეცნიერთა ამ რიგს ეკუთვნის სახელმოხვეჭილი მკვლევარი-ბუნებისმეტყველი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს და უცხოური, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის, აკადემიების აკადემიკოსი, ლენინური, სახელმწიფო (სსრკ-ს) და კარპინსკის პრემიების ლაურეატი გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე.**

გ. ძოწენიძე დაიბადა 1910 წლის 10 თებერვალს ქ. ქუთაისში. 5 წლის გიორგი მიაბარეს ქუთაისის დაწყებით სკოლაში, სადაც მან მალე თავი გამოიჩინა როგორც სამაგალითო მოსწავლემ. 1925 წელს 15 წლის ჭაბუკი გიორგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, 1929 წელს კი დაამთავრა ამ უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გეოლოგიის განხრით და სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება გეოლოგიურ მეცნიერებას.

აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა პალეოვულკანოლოგიის და ლითოლოგიის დარგში საყოველთაო აღიარება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. ამ საყოველთაოდ ცნობილი მკვლევარის მეცნიერული მემკვიდრეობა 150-ზე მეტ ნაშრომს ითვლის (მათ შორის 10 მონოგრაფიაა) და გეოლოგიური მეცნიერების საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. ჩვენ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ დარგზე, რომლის ჩამოყალიბება და განვითარება მის სახელთანაა დაკავშირებული.

ცნობილია, რომ თანამედროვე ვულკანების მოქმედება კაცობრიობის ისტორიაში გამანადგურებელი ნგრევებითაა ასახული. მაგრამ დღეისათვის ისიცაა ცნობილი, რომ ვულკანები ნგრევის გარდა, შემოქმედნიც ყოფილან. მათთან დაკავშირებულია მთელი რიგი სასარგებლო წიაღისეული საბადოების (როგორც მაგმურის, ასევე დანალექის) წარმოშობა. გეოლოგიურ წარსულში, მილიონობით წლის წინათ მოქმედი ვულკანები უკვალოდ არ ქრებოდა და თავის კვალს ტოვებდა ვულკანურ ნაგებობათა ნაშთების სახით, რომელთა უშუალო სიახლოვეში განლაგებულია ამა თუ იმ ტიპის სასარგებლო წიაღისეულის საბადო. ამდენად, დღეს ეჭვს არ იწვევს, თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებს ვულკანიზმი როგორც მადანწარმოშობის, ასევე ნალექდაგროვების პროცესებში.

გეოლოგიურ წარსულში მიმდინარე ამ პროცესების ძიებას და მათი კავშირების აღმოჩენას და კვლევას დაუთმო ბატონმა გიორგიმ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი. ამ კავშირების თეორიული საფუძვლების შემუშავებაა ის ძირითადი ქვაკუთხედი გეოლოგიური მეცნიერების იმ ახალი დარგისა, რომელიც წარმოიშვა მომიჯნავე დარგების – ერთი მხრივ ვულკანოლოგიისა და ლითოლოგიის, ხოლო მეორე მხრივ – ვულკანოლოგიისა და მადანწარმოშობის საზღვარზე.

ვულკანიზმის და ნალექ და მადანწარმოშობის გენეტური კავშირების კვლევა მოცემულია გ. ძოწენიძის ჯერ კიდევ პირველ ფუნდამენტურ გამოკვლევაში – „საქართველოს მიოცენამდელი ეფუზური ვულკანიზმი“, რომელმაც 1950 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა და დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში. ეს იყო პირველი კაპიტალური ნაშრომი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პალეოვულკანოლოგიურ გამოკვლევებს როგორც ჩვენში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მსოფლიოში სახელმოხვეჭილი რუსი მეცნიერი აკადემიკოსი დ. ბელიანკინი ასე აფასებდა ამ მონოგრაფიას: „ეს არის კაპიტალური ნაშრომი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია თანამედროვე პეტროგრაფიულ ლიტერატურაში, სახელმძღვანელოა იმ გეოლოგთათვის, რომლებიც იკვლევენ ძველ ვულკანურ ფორმაციებს“.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი კვლევის შედეგად გ. ძოწენიძემ შექმნა მრავალი მნიშვნელოვანი შრომა, რომლებიც მიეძღვნა ვულკანიზმის ზეგავლენას მადნებისა და ნალექების წარმოშობის პროცესებზე, ამ პროცესების ფიზიკურ-ქიმიური არსის გამოკვლევას, ვულკანოგენურ-დანალექი ტიპის საბადოების წარმოშობის კანონზომიერებათა დადგენას და მთელი რიგი სხვა საკითხების დამუშავებას, რომლებიც ვულკანოგენურ-დანალექ ლითოგენეზს დ ამავე ტიპის მადანწარმოშობის პროცესებს ასახავს. ამ შრომათაგან რამდენიმე მონოგრაფიაა. ერთ-ერთმა მათგანმა – „ვულკანიზმის როლი ნალექებისა და მადნების წარმოშობაში“, რომელშიც ახლებურადაა გაშუქებული ვულკანოლოგიის და სედიმენტოლოგიის აქტუალური პრობლემები, 1972 წელს ლენინური პრემია დაიმსახურა. ეს იყო ქართული გეოლოგიური სკოლის მორიგი გამარჯვება. გარდა ამისა, აკადემიკოს გ. ძოწენიძის ნაშრომები სხვადასხვა დროს აღინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მოსკოვის საბუნებისმეტყველო საზოგადოების პირველი პრემიებით. საყოველთაოდ აღიარებული ნაშრომი, რომელმაც ესოდენ დიდი ჯილდო დაიმსახურა, 60-ანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად ითვლება მსოფლიო გეოლოგიურ ლიტერატურაში. ცნობილი რუსი მეცნიერი აკადემიკოსი ა. სიდორენკო წინასიტყვაობაში, რომელიც ამ ნაშრომს წაუმძღვარა, წერს, რომ: ახალ მეცნიერულ მიმართულებას, რომელიც ახლა იბადება, და რომელსაც უნდა ეწოდოს მოძღვრება ვულკანოგენურ-დანალექი ლითოგენეზისა და მადანწარმოშობის შესახებ... დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მას დიდი განვითარება მოელის და გ. ძოწენიძის წიგნი პირველი განზოგადოებაა, რომელმაც ხელი შეუწყო ამ ახალი მეცნიერული მიმართულების ჩამოყალიბებას“. აკადემიკოს ა. იანშინის აზრით: „გ. ძოწენიძის წიგნის მთავარი ღირსება ის არის, რომ ავტორის დასკვნები დღეიდან დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმებსაც და ძებნითი პროგნოზირების შედგენასაც“.

გ. ძოწენიძის თეორიულმა გამოკვლევებმა, რომლებიც ემყარებოდა პრაქტიკული გეოლოგიის მონაცემების ღრმა ანალიზს, ნათელჰყო, რომ ამ ახალ დარგს, რომელიც იკვლევს ვულკანიზმის როლს დანალექ ქანთა და სასარგებლო ნამარხთა წარმოშობის პროცესში, ძალზე დიდი მომავალი აქვს. ძოწენიძისეული კვლევის მეთოდებით შეიარაღებული მკვლევარები ურალისა თუ კავკასიის, შუა აზიისა თუ შორეული აღმოსავლეთის პალეოვულკანურ ფორმაციებში წინასწარი პროგნოზირების შემდეგ მიზანდასახულად ეძებენ და ავლენენ ვულკანოგენურ-დანალექი ტიპის მარგანეცის, რკინის, კოლჩედანების და მთელ რიგ სხვა საბადოებს.“ ამდენად, ამ დარგის შემდგომ განვითარებას, რომლის ჩამოყალიბება აკადემიკოს გ. ძოწენიძის სახელს უკავშირდება, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე მეზობელი ქვეყნების სანედლეულო ბაზის შექმნაში.

აკადემიკოს გ. ძოწენიძის სამეცნიერო და სასწავლო მოღვაწეობის დიდი დამსახურებაა აგრეთვე საქართველოში პალეოვულკანოლოგიური და ლითოლოგიური სკოლების შექმნა და განვითარება. ამ სკოლების წარმომადგენლებმა ჩვენში და უცხოეთში სახელი გაუთქვეს მას და მათ შემქმნელს. ზოგიერთი მათგანი დღესაც წარმატებით მოღვაწეობს ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტში, კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და ტექნიკურ უნივერსიტეტებში.

მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად გ. ძოწენიძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ, ორგანიზაციულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1957-59 წლებში იყო თსუ-ის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგე, 1958-59 წლებში – რექტორი, 1951-55 წლებში – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, 1955-58 წლებში კი, ამ აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი. გ. ძოწენიძე იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს, კომიტეტის, კომისიის, სხვადასხვა გამოცემის რედკოლეგიის წევრი და თავმჯდომარე. არჩეული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების, მსოფლიოში უძველესი ლონდონის სამეფო გეოლოგიური საზოგადოების, ბულგარეთის გეოლოგიური საზოგადოების, ვულკანოლოგთა და სედიმენტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრად და ყოფილი საბჭოთა კავშირის გეოლოგთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ.

როგორც ცნობილია, 17 წლის განმავლობაში გ. ძოწენიძე იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ამ თანამდებობაზე მოღვაწეობისას იგი ერთგულად, ენერგიის დაუზოგავად და დიდი თავდადებით ემსახურებოდა საქართველოსა და მისი ხალხის ინტერესებს.

ბატონი გიორგი ძოწენიძე როგორც დიდი მეცნიერი, მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე, მსოფლიო საზოგადოებას სისტემატიურად აცნობდა თავის სამშობლოს, კულტურას და ისტორიულ წარსულს. ამ სიტყვების დასადასტურებლად სავსებით საკმარისია სხვა მრავალთა შორის მოვიყვანოთ საქვეყნოდ ცნობილი ორი დიდი მეცნიერის მიერ ბატონ გიორგი ძოწენიძის პიროვნების შეფასება. გამოჩენილი ავსტრიელი გეოლოგი აკადემიკოსი ვალტერ პეტრიშეკი ბრძანებს: „მე ყოველთვის ვფიქრობ გიორგი ძოწენიძეზე, ამ დიდ მეცნიერზე, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეზე და კეთილ ადამიანზე, რომელმაც ხშირ საუბრებში ჩემი გონებისათვის გასაგები და ახლობელი გახადა თავისი სამშობლო – საქართველო“. ამაღელვებელი სიტყვებით იგონებდა ბატონ გიორგის კანადის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ბატონი რობერტ ფოლინსბი: „მახარებს, რომ კანადის მიწაზე ფეხი დაადგა თანამედროვეობის დიდმა მეცნიერმა, ჩვენი პლანეტის ცეცხლოვანი გეოლოგიური წარსულის დიდმა მკვლევარმა, მსოფლიოს პატარა ქვეყნის – საქართველოს დიდმა წარმომადგენელმა, თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ და პიროვნებამ, აკადემიკოსმა გიორგი ძოწენიძემ“. მაგრამ, რაოდენ სახელმოხვეჭილი არ უნდა იყო ადამიანი შენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, უპირველეს ყოვლისა შენი პიროვნება შენმა ერმა უნდა შეაფასოს. დიახ, ქართველმა ერმა თავისი სეფე სიტყვა დიდ კონსტანტინე გამსახურდიას ათქმევინა: „გიორგი ძოწენიძეს ვინც თუნდ ერთხელ ნახავს, დარწმუნდება, რომ იგი ერის რჩეულთაგანია“.

ასეთი იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და მოღვაწე ბატონი გიორგი ძოწენიძე, რომლის დაბადებიდან დღეს 100 წლის საიუბილეო თარიღს აღვნიშნავთ.

სამწუხაროდ, მისი სიცოცხლე მაინც ხანმოკლე აღმოჩნდა და მრავალი ჩანაფიქრი მას განუხორციელებელი დარჩა – 1976 წელს 66 წლის ასაკში, თავის კაბინეტში, საწერ მაგიდასთან, მოწაფეებთან მუშაობის დროს ბატონი გიორგი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან. მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ქართველი ერის მეხსიერებაში.

**ერეკლე გამყრელიძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;**

**გურამ ნადარეიშვილი,**
**კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის რეგიონული გეოლოგიის განყოფილების გამგე, აკადემიური დოქტორი.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**მოსკოვში ჩადის საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი (2005-2007 წლები), ამჟამად კი ოპოზიციურ მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი. ჩვენთან ინტერვიუში მან ისაუბრა თავისი მგზავრობის მიზნების და ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობათა აღდგენის შესაძლებლობებზე.**

# ზურაბ ნოღაიდელი:
# დამოკიდებულება ჩემს ვიზიტებთან ნევროზულია

*— თქვენ შარშან ოქტომბრის ბოლოდან უკვე მეხუთედ ჩადიხართ მოსკოვში. რა ამოცანას ისახავთ ამჟამად?*

— ამჯერად მთავარი მიზანია – ხელშეკრულების ხელმოწერა ჩვენს მოძრაობასა და „ედინაია როსიას“ თანამშრომლობის შესახებ. ჩვენ აგრეთვე გავაგრძელებთ მუშაობას თემებზე, რომლებსაც ვამუშავებდით აქამდე. მათ შორისაა რუსეთში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების რეგისტრაცია. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ვიცოდეთ რამდენი მათგანია რუსეთის ფედერაციაში, რომ საქართველოში არავინ მიითვისოს მათი ხმები (მომავალ არჩევნებზე).

*— თქვენ პირველი ბრძანდებით, ვინც შარშანდელი აგვისტოს შემდეგ წავიდა კონტაქტებზე რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან...*

— პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი, თუმცა სხვები უკვე საუბრობენ, რომ მომბაძავენ...

*— დიახ, ამ დღეებში კონსერვატორებმა გაავრცელეს მიმართვა, რომელშიც აცხადებენ, რომ მზად არიან აწარმოონ დიალოგი რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებთან. მაგრამ დამოკიდებულება თქვენს კონტაქტებთან რუსეთის პოლიტიკოსებთან საქართველოში სხვადასხვანაირია.*

— არა, ეს ასე არ არის. დამოკიდებულება საქართველოში ამისადმი სხვადასხვანაირია მხოლოდ, თუ უყურებ და უსმენ ტელევიზიას. როგორც ერთი ქუთაისელი ამბობდა, „მეც მინდა ვიცხოვრო იმ საქართველოში, რომელსაც აჩვენებენ პირველი არხით და „რუსთავი 2-ით“. სინამდვილეში კი გვიხდება ცხოვრება სულ სხვა ქვეყანაში. დამოკიდებულება ჩემს ვიზიტებთან პოლიტიკურ ლიდერებს ანერვიულებთ, მოსახლეობა კი ერთმნიშვნელოვნად კეთილად უმზერს მათ.

*— ბევრს აღელვებს მოსკოვსა და თბილისს შორის პირდაპირი ავიარეისების პერსპექტივა. იქნება რაიმე მოძრაობა ამ მხრივ?*

— ძნელია ილაპარაკო, თუ რომელი დაძაბული პრობლემაა უფრო მწვავე. რასაკვირველია, საქართველოს მოსახლეობას სურს ურთიერთობის აღდგენა რუსეთთან პირველ რიგში იმისთვის, რომ კონფლიქტი მოწესრიგდეს და საქართველომ დაიბრუნოს შანსი აღიდგინოს ტერიტორიული ერთიანობა. სხვა პრობლემათა შორის არის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლაც. დღეს მარშრუტით მოსკოვი-თბილისი ყველა, მათ შორის მეც, მივფრინავთ მესამე ქვეყნის გავლით. ეს ძალიან მძიმეა და ძვირი. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ მარშრუტით ძირითადად სარგებლობენ ან საქართველოს მოქალაქეები ან საქართველოდან გასული რუსეთის მოქალაქეები, რომლებმაც დატოვეს სამშობლოში ოჯახები და ეხმარებიან მათ მატერიალურად. კარგი იქნებოდა, რომ ისინი ცოტას ხარჯავდნენ ავიაბილეთებზე და მეტ ფულს უგზავნიდნენ თავიანთ ნათესავებს. მწვავე პრობლემათა შორისაა საქართველოს მოქალაქეების მიერ რუსეთის ვიზების მიღებაც, რაც დღევანდელ დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ჩვენი პროდუქციის ექსპორტის განახლება რუსეთში. გულახდილად რომ გითხრათ, როდესაც ეს მგზავრობები დაიწყო, მთავარი მიზანი იყო წარმომედგინა კონფლიქტების მოწესრიგების ჩემეული ხედვა, მომავალი ორმხრივი ურთიერთობანი. მაგრამ მადლობა ღმერთს, კონკრეტული შედეგები უკვე არის: მაგალითად, ამასწინანდელი ისტორია სამ ქართველ მოზარდთან დაკავშირებით, რომლების დაბრუნებაც თავიანთ სახლებში შევძელით ცხინვალის ციხიდან. იყო აგრეთვე მოსკოვსა და თბილისს შორის სამი ჩარტერული რეისი. ეს, რასაკვირველია, ბევრი არ არის, მაგრამ სამი ხომ მეტია ნულზე. სხვათა შორის, მოსკოვში ჩვენ ვსაუბრობთ პირველ რიგში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მომავალზე.

*— პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ თქვენთვის მოლაპარაკების მანდატი არავის მოუცია. რა რეაგირებას ახდენთ ამაზე?*



— ჩვენ მოლაპარაკებას არ ვაწარმოებთ. თუმცა, კარგი იქნებოდა, რომ ეს მას თავად დაეწყო. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, თუ როგორი არათანმიმდევრული ადამიანია სააკაშვილი. ხან ლაპარაკობს, რომ აუცილებელია დიალოგის დაწყება რუსეთთან, ხან აცხადებს, რომ რუსები – მონღოლების შთამომავლები არიან... ასე არ შეიძლება. უნდა მიდიოდე არჩეული მიმართულებით. რაც შეეხება ჩემ კონტაქტებს, მე დღეს არავითარ კონკრეტულ მოლაპარაკებას არ ვაწარმოებ და არც შემიძლია ვაწარმოო. მოლაპარაკება ყოველთვის უნდა დამთავრდეს რაიმე გადაწყვეტილებით. დავუშვათ, რუსეთის მთავრობამ რაღაც გადაწყვიტა, ჩვენ რა? ჩვენ ხომ ჯერჯერობით არაფერს ვწყვეტთ. სააკაშვილს თავადაც უნდოდა, ალბათ, ჰქონოდა შესაძლებლობა აღედგინა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, მაგრამ, ვფიქრობ, მატარებელი უკვე წავიდა.

*— სწორია, რომ თქვენ დაიწყეთ აფხაზური ენის სწავლა?*

— დიახ. მე ვთხოვე ადა მარშანიას (აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დევნილობაში), რომ მომიძებნოს აფხაზური ენის მასწავლებელი. ჩემს მეგობარ გოჩა ზასოხოვს (მეცენატს, რომელიც სათავეში უდგას სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებას „საქართველოს ხალხთა მსოფლიო ასამბლეა“) ვთხოვე, ჩემთვის მოეძებნა ოსური ენის მასწავლებელი. ჩემი ბიჭიც შეისწავლის ამ ენებს. ეს, რასაკვირველია, პოლიტიკური ჟესტიცაა, მაგრამ ზუსტად მოფიქრებული გადაწყვეტილებაც, რომელიც გულიდან მოდის. მე უბრალოდ მინდა გავუგო იმ ადამიანებს, ვინც მოლაპარაკებას დაიწყებს.

*— არის აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი მოლაპარაკების იმედი?*

— არა მხოლოდ იმედი. გპირდებით, რომ იქნება პირდაპირი დიალოგი. ვფიქრობ, რომ დიალოგს დავიწყებთ გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მე ამ ენებს შევისწავლი.

*— რას იტყოდით უკრაინის არჩევნებზე ქართველ მეთვალყურეებთან წარმოქმნილი სკანდალის შესახებ, აგრეთვე ცნობის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინის სპეცნაზი თითქოს ღებულობდა მონაწილეობას თბილისში 2007 წლის 7 ნოემბერს ოპოზიციის დარბევის აქციაში? მაშინ თქვენ ხომ საქართველოს მთავრობას ედექით სათავეში.*

— 7 ნოემბრის მოვლენები ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. მე წინა დღით დავბრუნდი ქვეყანაში უცხოეთში მოგზაურობიდან, რომლის დროსაც ვაწარმოებდი მოლაპარაკებას საქართველოს ეკონომიკაში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესახებ. და მაშინ მომცეს მტკიცე გარანტიები, რომ არავითარი დემონსტრაციის დარბევა არ იქნებოდა. ძალისმიერი სცენარი არაფრით შეუწყობდა ხელს ინვესტიციების მიღებას. თუ შემდეგ რა მოხდა, ჩემთვის ძნელი ასახსნელია. მაგრამ ვფიქრობ, რომ, წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით, კიდეც რომ ვინმეს ეს მოენდომებინა, უკრაინელი სპეცნაზელები ვერ მოასწრებდნენ თბილისში ჩამოსვლას. რაც შეეხება ჩვენს მეთვალყურეებს, ბოლოს და ბოლოს, სააკაშვილმაც გაიგო, თუ რამდენად უგუნური იყო მისი ეს წამოწყება და გამოიწვია ისინი უკან. სამწუხაროდ, „ფსევდო მეთვალყურეები“, ასე თუ ისე, გადაიქცნენ უკრაინის არჩევნების გარკვეულ ფაქტორად. იმედი მაქვს, რომ შევძლებთ საქართველოში ხელისუფლების შეცვლას მანამდე, სანამ საქართველო-უკრაინის ურთიერთობა მივა გარკვეულ წერტილამდე. ამოცანა ის არის, რომ ჩვენი ურთიერთობა უკრაინასთან, ამ ქვეყანაში ნებისმიერი პრეზიდენტის დროს, იყოს კარგი, კეთილმეზობლური, სტრატეგიული.

**ირინა ბარამიძე**

**НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ**

## დედამიწის ზურგზე



**ჰაიტში გადაარჩინეს კაცი, რომელმაც ნანგრევებში თითქმის ერთი თვე დაჰყო**

დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ, რომელმაც 200 ათას კაცზე მეტი სიცოცხლე შეიწირა, 28 წლის ევან მუნსი ბაზარში იყო. 27 დღის შემდეგ იგი აღმოაჩინეს ნათესავებმა და ჰოსპიტალში მიიყვანეს. ექიმებს მიაჩნიათ, რომ მუნსი გადარჩება. მისი სიტყვებით, მას ვიღაცა ასმევდა წყალს, ვიდრე იგი ნანგრევებქვეშ იმყოფებოდა.

* * *

**ურთიერთობა ტაჯიკეთსა და უზბეკეთს შორის გამწვავდა ძროხისა და მშიერი მესაზღვრეების გამო**

მკაცრი განცხადებების მიზეზი ერთი მეორის მისამართით ამჯერად გახდა ძროხა, რომლის ან მოპარვა სურდათ მეზობლებისგან ტაჯიკელ მესაზღვრეებს ან თავად მან შემთხვევით გადაკვეთა ტაჯიკეთ-უზბეკეთის საზღვარი. ტაჯიკეთის ხელისუფლებამ მიიწვია დუშამბეში უზბეკეთის მხარე მოლაპარაკებისთვის დაძაბულობის განტვირთვის მიზნით.

* * *

**ხიროსიმა ხელახლა იკვლევს „შავი წვიმის“ მასშტაბებს, რომელიც მოვიდა აშშ-ს ატომური დარტყმის შემდეგ**

უკანასკნელი დამოწმებანი აჩვენებენ, რომ მათ მიერ დაზიანებული ტერიტორიების მოცულობა სულ ცოტა ორჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე აქამდე მიაჩნდათ. ორი წლის განმავლობაში ვარაუდობენ, განახორციელონ კომპიუტერებზე ხიროსიმაში ბუნებრივი პირობების ზუსტი იმიტაცია 1945 წლის 6 აგვისტოს დაბომბვამდე და დაბომბვის შემდეგ.



◎ ფრთხილად!

# თქვე იდიოტებო!

(მეექვსე გვერდიდან)

თუ არ ვცდები, პირველნი, ვისაც ავთვისებიანი სიმსივნის კლინიკური დიაგნოზი დაუსვეს, ბრიტანული გაზეთების „ამწყობები“ ანუ სტამბის მუშები იყვნენ, რომლებსაც ტიპოგრაფიულ საღებავთან უშუალო შეხება ჰქონდათ. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და ამ „კიბოსებრი“ საღებავების მცენარეული ზეთებით ჩანაცვლება არც ისე წარმატებული და ყოვლისმომცველი პროცესი აღმოჩნდა. პოლიგრაფიული საღებავის (ოფსეტური, ფოტოტიპური და ა.შ.) ერთ-ერთი სახეობა ტიპოგრაფიული – გლობალურად დამთბობი მეთანის წვისა და შლის პროცესის მიღებული მურისგან იქმნება. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად მჭვარტლი, იგივე მური რომ არა, ახლა არც დამოუკიდებელ-დამოკიდებული პრესა გვექნებოდა, არც 43 წლის ჟურნალი „როლინგ სთოუნი“ (იგი თვეში ორჯერ 1,5 მლნ. ტირაჟით გამოდის), არც მასზე ბევრი The New York Times, რომელიც ამჟამად დიდ ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდის (2011-ში მისი ონლაინ ვერსიის უფასოდ წაკითხვა შეუძლებელი იქნება), არც საკომპიუტერო კარტრიჯი და მისთანანი. ქაღალდის წარმოებაზე ხომ აღარაფერს ვამბობ და არც ყველაფერ იმაზე, რაც ზოგადად ბეჭდვით, მხატვრულ თუ სხვა, აუდიოვიზუალურ სიტყვასთან და არა მარტო მასთან ტექნიკურადაა დაკავშირებული. ნახშირი, მეთანი, მური, ეკოლოგიის სხვა დამბინძურებლები, გლობალური დათბობის სხვა „კონტრიბიუტორები“ ჩვენებური ცივილიზაციისთვის ისეთივე საჭირო „არტეფაქტები“ აღმოჩდნენ, როგორიც ცოცხალი არსებისთვის – ჟანგბადი. O2-სა და CO2-ის იდეალური ბალანსი კი „მოუხელთებელი ჯოსავით“ მოუხელთებელი აღმოჩნდა.

ველური ბუნების დაცვის ფონდის (WWF) მონაცემებით, უახლოეს 40 წელიწადში ბუნების ბიორესურსები სრულად ამოიწურება. ეს ფონდი აცხადებს, რომ რამდენიმეგვერდიანი ათასი ცალი გაზეთის წარმოებისთვის ერთი დიდი ხის მოჭრაა საჭირო, რომელიც ჟანგბადით საშუალოდ სამ ადამიანს კვებავს. ვერსად ვერ ვნახე ინფორმაცია თუ რამდენი ხე-ტყე ნადგურდება 70-გვერდიანი პრიალა „როლინგ სთოუნის“ ტირაჟის, მისი გვერდების როკ-პოპ მოყვარე და არა მტერი სტუმრების სურათებზე და საერთოდ თუ „იდიოტურად“ ავიწყვეტთ, მუსიკოსების პოსტერებსა და ალბომების დიზაინ-შეფუთვისთვის. ასევე, არ ვიცი პარალელურად რამდენი ხის ხელახალი დარგვა, ანუ ქაღალდად გადაქცეულის განახლება ხდება. ვიცი, რომ **ყოველწლიურად ქაღალდის წარმოებისთვის ტყეების დაახლოებით ნახევარი მილიონიდან ერთ მილიონამდე კვადრატული კილომეტრი იჭრება.** ქაღალდის წარმოებისას ატმოსფეროსა და წყალში ქლორის მაღალტოქსიკური შენაერთები ხვდება, ხოლო ტიპოგრაფიულ საღებავს გლობალური დათბობის სტატისტიკა სრულ „აჟურში“ მოჰყავს. ერთადერთი, რაც პირდაპირი მნიშვნელობით „დოკუმენტურად“ ვიცი, ისაა, რომ „როლინგ სთოუნის“ 21 იანვრის, ისევე როგორც წინა ნომრებს, ჟურნალის გამოწერის შესავსები ფორმა მოჰყვა, რომელზეც მაცნობებენ, რომ თუ 52 ნომერს გამოვიწერ, ეს 29 დოლარი და 95 ცენტი დამიჯდება + ერთი წელი – უფასოდ; 16 ნომრის გამოწერა კი – 19,95 დოლარი („როლინგ სთოუნის“ საცალო ფასი 4,99 დოლარია). მაგრამ ჟურნალი საქმის ყურში არ მაყენებს ამ „მტერი ხალხის“ სისტემატური ქველმოქმედების შესახებ, არც იმასთან დაკავშირებით – ამ ჩემს მიერ ჟურნალის გამოსაწერად გადახდილი თანხის რა პროცენტი წავა მურის მიერ გამოწვეული გლობალური დათბობის გასანეიტრალებლად; არც იმას მაცნობს, ნიუ-იორკიდან ჟურნალის საჰაერო თუ საავტომობილო დისტრიბუციის დროს რამდენი ტონა საწვავი იხარჯება და რა წვლილი შეაქვთ „ბეჭდვითი ორგანოს“ არამტერ გამომცემლებს ეკოსისტემის მდგრადობის დაცვაში; სამაგიეროდ, უკვე ვიცი, რომ მწვანე რედაქციის მუშაკები „პლანეტის მტრების“ გამოაშკარავებით „არაჰიპურად“ გაერთიანდნენ და ამიტომ მათ (მტრებს) უკვე სახეზე ვცნობ (მერდოკსა და მაკკეინს ადრეც ვცნობდი). ჟურნალი ენერგოკომპანია Berkshire-ის მიერ გამონაბოლქვის რაოდენობის დაფარვას აკრიტიკებს. **მე კი, როგორც „ურწმუნო თომა“ და „ეშმაკის ადვოკატი“, „როლინგების“ არალობისტურ განზრახვებში იმ შემთხვევაში დავრწმუნდებოდი, მას რომ დაეთვალა და თავის ფურცლებზე გულახდილად განეცხადებინა არა მარტო პოპ და როკ მუსიკისა და მუსიკოსების ამბები, არამედ კლიმატის ცვლილების პროცესში თავად ჟურნალის მიერ შეტანილი წარუშლელი წვლილის ისტორიებიც. თორემ, ასე, იუპიტერისა და ხარის არ იყოს ცალ კარში თამაში გამოდის. ობიექტურობის ხათრით კი ასეთივე გრძელი წერილი არა მარტო კლიმატის „თოპ მკვლელებზე“ და მათ „ინკვიზიციურ“ მეტსახელებზე გამოცხვებოდა, არამედ ბოლოდან პირველი 17 „ქილერის“ ღვაწლზეც. ეს იგივე ავტორს – თიმ დიკინსონისაც წარმატებით შეუძლია გააკეთოს, რახან ამ „უმადურ“ საქმეს ხელი უკვე მოჰკიდა. თუმცა იმთავითვე ისიც ვიცი, ჟურნალ Rolling Stone-ის დამფუძნებელს ჯერემი უენერს ჩემი ეს იდეა, თუნდაც გლამურულად შეფუთული რომ შევთავაზო, იდიოტად ჩამთვლის. თუმცა, ვინ იცის?...**

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**

დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

სვერდლოვისა და ძერჟინსკის ტანდემმა დაჭრილი ლენინი ხელისუფლებას ჩამოაშორა, ყველაფერი გააკეთა, რომ „მეტად არ შეეწუხებინათ ლენინი“. ბელადის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა და უკვე 1 სექტემბრისთვის მონაწილეობა მიიღო ცენტრალური კომიტეტის სხდომაში. ეს სულაც არ შედიოდა შეთქმულთა გეგმებში, და სვერდლოვმა მიაღწია გორკიში შეექმნათ ლენინის ქალაქგარეთა რეზიდენცია. გადაიყვანეს კიდეც იქ, ხელისუფლებისგან შორს – „გამოსაჯანმრთელებლად“.

ხელისუფლების ხელში ჩაგდებით სვერდლოვმა და ძერჟინსკიმ დაიწყეს ყველაზე მემარცხენე პოლიტიკის განხორციელება. ლენინიც, რასაკვირველია, ანგელოზი არ ყოფილა, მას ეკისრება ბევრ რადიკალურ და ნიჰილისტურ წამოწყებაზე პასუხისმგებლობა. მაგრამ „პროლეტარიატის ბელადს“ ახასიათებდა ზოგიერთი პრაგმატიზმითაც, რომელიც ქმნიდა მას თავისებურ ცენტრისტად ცენტრალურ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოში. ასეთი პრაგმატიზმის აშკარა მაგალითია – ბრძოლა ბრესტის ზავის ხელმოწერისთვის, რომლის დროსაც ლენინი უმცირესობაში აღმოჩნდა.

1918 წლის გაზაფხულზე პრაგმატიზმმა უკარნახა ლენინს, რომ დროა შეწყდეს „წითელგვარდიული შეტევა კაპიტალზე“. საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში ბოლშევიკები შეეცადნენ მოეწესრიგებინათ საწარმოებში მუშათა თვითმმართველობა, დაეპირისპირებინათ ერთმანეთისთვის მუშები და მეწარმეები. მაგრამ დრომ აჩვენა, რომ ხელმძღვანელობისთვის მუშები მზად არ არიან, მრეწველობა კი სულ უფრო ეფლობა კრიზისში. მაშინ ილიჩმა გადაწყვიტა წასულიყო კომპრომისზე მეწარმეებთან. დაიწყო მოლაპარაკება დიდ ბიზნესმენ მეშჩერსკისთან, რომელსაც სთავაზობდნენ შეექმნათ სახელმწიფოსთან ერთად ძლიერი მეტალურგიული ტრესტი. მიდიოდა მოლაპარაკება მრეწველ სტახეევთანაც, რომელსაც ჰქონდა იდეა შეექმნათ დიდი სამეურნეო გაერთიანება მთავრობასთან პარიტეტულ საწყისებზე. მეწარმეთაგან მოიზიდეს კიდეც ზოგიერთი ხელფასის ტარიფების დასამუშავებლად.

მაგრამ ყველა კეთილგანზრახული წამოწყება დამთავრდა 1918 წლის ივნისში, როდესაც ბოლშევიკებმა მიიღეს გადაწყვეტილება დიდი საწარმოების ნაციონალიზაციის შესახებ. ასეთი ნაბიჯის შედეგები საშინელი იყო – წლის ბოლოს დაიხურა ასობით ნაციონალიზებული საწარმო, ქვეყანაში მხოლოდ თავდაცვის საწარმოები მუშაობდნენ. მივაქცევ ყურადღებას – ნაციონალიზაცია დაიწყო ივნისში, როდესაც პირველ როლებზე უკვე გავიდა სვერდლოვი. ის საბჭოთა რუსეთის ფაქტობრივი ხელმძღვანელი გახდა უკვე ჯერ კიდევ მაისში, როდესაც, აქვე ვიტყვით, დამკვიდრდა სასურსათო დიქტატურა. სოფელში გაიგზავნა სასურსათო რაზმები, რომლებიც გლეხებს ართმევდნენ პურს, თანაც რაიმე დაწესებული ნორმის გარეშე. ივნისში კი, როდესაც ხელმძღვანელობამ დაიწყო ნაციონალიზაცია, მან „გააბედნიერა“ გლეხები ახალი საჩუქრით – სოფელში შეიქმნა სიღარიბის კომიტეტები. სიღარიბის კომიტეტის წევრებმა დაიწყეს შეძლებული მეზობლების ძარცვა. მდიდარ გლეხებს წაართვეს 50 მილიონი დესეტინაზე მეტი მიწა.

მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ დასაწყისი იყო. საქმე სექტემბერში გაიშალა თუ გაიშალა, როდესაც ლენინზე თავდასხმა გამოიყენეს როგორც საბაბი მასობრივი პოლიტიკური რეპრესიებისთვის, რომლებიც ისტორიაში შევიდა სახელწოდებით „წითელი ტერორი“. მათი შედარება როგორ შეიძლებოდა სტალინურთან. დღეს ძნელიც კია განსაზღვრო ზუსტი რაოდენობა, ვინაიდან არავითარი აღრიცხვა და კონტროლი არ ყოფილა, ანგარიშსწორება ხდებოდა „რევოლუციური სამართალშედეგების“ პრინციპით. ნადგურდებოდნენ მთელი სოციალური ფენების წარმომადგენლები – მღვდლები, მეწარმეები, ჩინოვნიკები, ოფიცრები.

სვერდლოვის ხელმძღვანელობის სიმკაცრემ შეძრა ყველაზე რადიკალური კომუნისტებიც კი, ვისაც ადრე სენტიმენტალობას ვერაფრით დასწამებდი. მაგალითად, ტროცკი მეტად გაოცებული იყო, როდესაც ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ სვერდლოვისგან გაიგო მეფის ოჯახის დახვრეტის შესახებ. „როგორ? ყველა?“ – წამოიძახა ტროცკიმ. „კი... – უპასუხა სვერდლოვმა. – მერა რა მოხდა?“ ნიშანდობლივია, რომ მეფის და მისი ოჯახის წევრების სიკვდილით დასჯის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიღებული იქნა ისეთი ფიგურის ნების გაუთვალისწინებლად, როგორიც ტროცკი იყო. ცხადია, რომ სვერდლოვის ჯგუფს ჰქონდა ძალიან ძლიერი პოზიციები.

თვალში საცემია ასეთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ვითარება. რევოლუციამდე სვერდლოვი რსდმპ (ბ) საბრძოლო ორგანიზაციის ურალის გაერთიანების ხელმძღვანელი იყო. ფორმალურად ის ცენტრალური კომიტეტის მებრძოლ ცენტრს ემორჩილებოდა, მაგრამ, ფაქტობრივად, არავისზე დამოკიდებული არ ყოფილა. არსებითად, სვერდლოვმა პარტიაში პარტია შექმნა. ისტორიკოსი ო.ა.პლატონოვი, რომელიც „ჯგუფის“ საქმიანობასთან დაკავშირებულ საარქივო მასალებს სწავლობდა, ასე აღწერს ამ ორგანიზაციის სპეციფიკას: **„როგორც კლასიკურ მაფიაში და მასონურ ორდენებში, შეიქმნა ორგანიზაციის საიდუმლოების კურთხევის რამდენიმე დონე. სრული ინფორმაცია ჰქონდა მხოლოდ მას, ვინც პირამიდის თავში იყო, ის თავის მოქმედებას უთანხმებდა საბრძოლო ცენტრს. ერთი დონით დაბლა ისხდნენ საიდუმლო ოპერატიული ხელმძღვანელობა და საბრძოლო ორგანიზაციის ინსტრუქტორები, შემდეგზე, ასევე საიდუმლო დონეზე – სხვადასხვა ჭუჭყიან საქმეთა შემსრულებლები. ისინი დავალებას ღებულობდნენ წინა დონიდან და ემორჩილებოდნენ ზუსტ ინსტრუქციებს. ყველაზე დაბლა იყო – „მასოვკა“, რიგითი წევრები, რომლებსაც ჩართავენ ხოლმე საქმეში, თუმცა მათ არაფერი იცოდნენ კურთხევის ზედა დონეების საქმიანობის ხასიათის შესახებ“** („რუსი ხალხის ისტორია XX საუკუნეში“).




სვერდლოვს ჰქონდა უზადო ორგანიზატორული ნიჭი, სიმკაცრე და რეგიონული სეპარატისტის თვალთახედვა. ხელისუფლების მოპოვების შემდეგ მან იგი საკუთარ დუქნად აქცია. მაგრამ ლენინი, დაჭრის მიუხედავად, მაინც უმჯობესდებოდა. ილიჩი მეტად შეშფოთებული იყო თავისი გულმოდგინე კოლეგის ამბიციებით. ამას გარდა, ეშინოდა, რომ მისი მემარცხენული ექსპერიმენტები და უკვე თავაშვებული ტერორი გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდნენ ბოლშევიკებს. ამ და სხვა უკმაყოფილების გამო, შეიძლება ტროცკის მხარდაჭერითაც, ლენინმა დაიწყო ურალელი მაფიოზების წმენდა. 1918 წლის ნოემბერში საბჭოების VI სრულიად რუსეთის ყრილობის გადაწყვეტილებით გაუქმდა გლეხების უმეტესობისთვის საზიზღარი ღარიბთა კომიტეტები. გაუქმდა „საგანგებო რევოლუციური გადასახადი“. შემდეგი წლის იანვარში კი შემოიღეს სასურსათო განაწილება. ესეც, რასაკვირველია, ძარცვა იყო, მაგრამ ახლა სახელმწიფოს მოთხოვნათა რაღაც ზღვარს მაინც განსაზღვრავდნენ. ადრე კი არავითარი ნორმა არ არსებობდა, სასურსათო რაზმებს შეეძლოთ ჩამოერთმიათ პურის მთელი მარაგი.

სვერდლოვი კი განაგრძობდა სასწაულებს. ლენინის მიერ მიღებული ზომების საპირისპიროდ, ის იღებს ცუდად სახელგანთქმულ 1919 წლის 14 იანვრის საორგანიზაციო ბიუროს დირექტივას. იგი ავალდებულებდა **„მოეწყოს მასობრივი ტერორი მდიდარი კაზაკების წინააღმდეგ, განადგურდნენ ისინი მთლიანად; მოეწყოს დაუნდობელი მასობრივი ტერორი ყველა კაზაკის მიმართ, ვისაც რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა მიუღია საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში“**. ასე დაიწყო განკაზაკება, ათეული ათასობით სიცოცხლე რომ შეიწირა.

კაზაკების სიცოცხლე ლენინს, იქნებ, დიდად არც აინტერესებდა, მაგრამ სვერდლოვის უგუნურობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ კაზაკობა კონტრრევოლუციის მხარეზე გადავიდა. სვერდლოვი სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა. და ასეც მოხდა, რომ პარტიის მორიგი VIII ყრილობამდე მან ველარ მიაღწია.

ოფიციალური ვერსიით, „მგზნებარე რევოლუციონერი“ გარდაიცვალა „ისპანკისგან“, ესე იგი გრიპისგან. შემდეგ კი ბოროტმა ენებმა იმის მტკიცება დაიწყეს, რომ სინამდვილეში სვერდლოვი სასიკვდილოდ სცემეს მუშებმა ერთ-ერთ მიტინგზე. თუმცა ამ ვერსიის სასარგებლოდ არ არსებობს რაიმე დოკუმენტური დადასტურება. უნდა ვაღიაროთ მაინც ოფიციალური ვერსია, თუმცა მასში ერთი „პატარა“ შესწორება მაინც უნდა შევიტანოთ. სვერდლოვს ბოლო მოუღო არა იმდენად ავადმყოფობამ, რამდენადაც მკურნალობამ. მისი ავადმყოფობის ისტორიის გამოკვლევა გვარწმუნებს, რომ მკურნალობა ხდებოდა სრულიად არასწორად. ხოლო იმის შესახებ, თუ ვინ იდგა ასეთი „არატრადიციული“ მედიცინის უკან, მხოლოდ უნდა ვიმარჩიელოთ.

პარტიის ყრილობაზე, რომელიც უსვერდლოვოდ გაიხსნა, ლენინმა მეტად ნიჭიერად წარმოაჩინა მწუხარება და გაწბილება. თუმცა წყენა გარდაცვლილის მისამართით მაინც გაისმა. მისთვის სათანადოდ მიზლვევის შემდეგ ილიჩმა დელეგატებს აცნობა, რომ მან ძალიან ბევრი პარტიული და სახელმწიფო ზრუნვა იკისრა.

დებულება შეასწორეს. ლენინმა მკვეთრად შეამცირა ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მნიშვნელობა, მის სათავეში დააყენა მეორეხარისხოვანი ფიგურა – ე.დ.სტასოვა, სვერდლოვის ყოფილი თანაშემწე. თანაც თავად სტასოვა მკაცრად უნდა დამორჩილებოდა პოლიტბიუროს. ამავე დროს ლენინმა, რომელიც, ცხადია, ჯერ კიდევ არ იყო გამოსული შიშიდან და ცდილობდა დაეცვა თავისი სახალხო კომისართა საბჭო შესაძლო კონკურენციისგან, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის სავარძელში დასვა უბრალო ტვერელი გლეხი მ.ი.კალინინი. ამით განახორციელეს კიდევ ერთი დარტყმა, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა საბჭოების მნიშვნელობა.

დრო გადიოდა, საორგანიზაციო სამუშაოთა ნაკადი კი იზრდებოდა. ეს ზრდიდა „შერისხული“ სამდივნოს წონას. 1922 წლის აპრილში კი შემოიღეს ახალი თანამდებობა – ცენტრალურ კომიტეტს გაუჩნდა გენერალური მდივანი. ამ თანამდებობაზე სტალინი აირჩიეს.

ბევრს მოეჩვენა, რომ სვერდლოვი და მისი დრო დაბრუნდა – რასაკვირველია, ზომიერი ვარიანტით. თითქოს ბიუროკრატია იქნებოდა თავის საპარატო „მეფეს“. მაგრამ სტალინს სულ სხვა გეგმები ჰქონდა.

### ოლიგარქიის ბრწყინვალება და სიღატაკე

მაგრამ როგორც უნდა ყოფილიყო, ქვეყანაში გაჩნდა მრავალრიცხოვანი და დიდი გავლენის მქონე პარტიული ნომენკლატურა, რომელსაც არ სურდა გაეყო თავისი ხელისუფლება არც ხალხთან, არც ბელადებთან. არსებითად, იგი ოლიგარქი გახდა. როგორც ცნობილია, ოლიგარქიის დიდმნიშვნელოვანი ნიშანია რომელიმე სოციალური ჯგუფის შეზრდა პოლიტიკურ ხელისუფლებასთან. აქ კი სოციალური ჯგუფი – ბიუროკრატია – საერთოდ შეუერთდა მასობრივ მმართველ პარტიას, რომელიც უტოპიური იდეოლოგიით იყო აღჭურვილი.

ნებისმიერი ოლიგარქიისთვის დამახასიათებელია სოციალური ეგოიზმი, რომელიც არის კიდეც სახელმწიფოსთან შეზრდის მიზეზი (ეს ხომ ასეთ მოგებას იძლევა!). ეგოისტი კი თავის თავზე ძალიან ბევრს ფიქრობს, მას ძალიან უნდა ხელში ჩაიგდოს რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე და ხელისუფლება – მთლიანის, საერთო ინტერესების საზიანოდ. ოლიგარქებიც სწორედ აგროვებენ ჯგუფებს ინტერესების მიხედვით, რომლებიც საერთო საბანს ნაკუწებად გლეჯენ. საინტერესოა, რომ ამ დროს ისინი, თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ თავისსავე ინტერესების წინააღმდეგ. მთლიანის გარეშე ხომ ნაწილიც არაა, ამიტომ ოლიგარქია ყოველთვის მიდის იმის რისკზე, რომ გაანადგუროს თავისი ყოფის გარემო, იტაცებს დამცველ მექანიზმებს თავისივე დათვური კერების მიხედვით. ამგვარად დაანგრია საკუთარი სახელმწიფო პოლონურმა შლიახტამ, რითაც თავისთან შექმნა სუსტი სახელმწიფო, რომელიც მის ოლიგარქიას ემორჩილებოდა, მაგრამ არ შეეძლო დაეცვა ქვეყანა გეოპოლიტიკური კონკურენტებისგან – ძლიერი მონარქიებისგან – რუსეთისგან, ავსტრიისგან, პრუსიისგან.

მაგრამ ოლიგარქიას ხშირად იმის ჭკუა ჰყოფნის, რომ გაიგოს თავისი აბსოლუტური ხელისუფლების დამღუპველობა. მაგალითად, დასავლეთის ბურჟუაზიული ოლიგარქია, მართალია, აკონტროლებს პოლიტიკას, მაგრამ მაინც ამ ხელისუფლებას აძლევს სწორედ პროფესიონალებს – პოლიტიკოსებს, ვისაც შეუძლია გაიგოს სახელმწიფოს სიმთლიანის ინტერესები. მათ ენიჭებათ ერთგვარი ავტონომია, და ზოგჯერ ისინი ამას იყენებენ, რათა რამდენადმე შეავიწროვონ ოლიგარქები, მოთოკონ მათი ეგოისტური მადა. მაგალითად, ნაწილობრივი ნაციონალიზაციის განხორციელებით – ცალკეული დარგების მუშაობის გაუმჯობესებების მიზნით, რასაც ბურჟუაზია ყოველთვის როდი ართმევს თავს.

ასეთი კეთილგონიერება შესაძლებელია იმიტომ, რომ ბურჟუაზიულ გარემოში ძლიერი ეგოიზმი ეხამება არაჩვეულებრივ საქმიან გამჭრიახობას. ბურჟუაზიას ესმის, რომ თავად მისთვის არ არის ხელსაყრელი ბევრი რამის მოხეკვა. ბიუროკრატიულ გარემოში კი ასეთი გამჭრიახობა არ არის და არც შეიძლება იყოს. ბიუროკრატი ხომ შემსრულებელია, მისი მთავარი ღირსება ის არის, რომ ზუსტად და სწრაფად შეასრულოს ხელისუფლების რომელიღაც წყაროს – ხალხის, ბურჟუაზიის, ბელადის, მონარქის – მითითება. ზედმეტი ჭკუა ვნებს კიდეც ბიუროკრატს.

და როგორც ზემოთ უკვე ითქვა, რუსეთში პოლიტიკა და პოლიტიკური ხელისუფლება მჭიდროდ შეერწყა ბიუროკრატიას. მისი ოლიგარქია იმუქრებოდა გამხდარიყო აბსოლუტური და ყველაფრის მშთანმთქავი. განსაკუთრებით ძლიერები იყვნენ პარტიული ნომენკლატურის რეგიონული ორგანიზაციები, რომლებსაც სათავეში edgნენ პარტიული კომიტეტების მდივნები. 20-იანი წლების ბოლოს მათ ადმინისტრაციული რეფორმის ლობირებაც კი მოახერხეს, რის შედეგადაც ლიკვიდირებული იქნენ ძველი გუბერნიები. სამაგიეროდ გაჩნდნენ გიგანტური მხარეები. მარტო რსფს რესპუბლიკაში მათი რიცხვი 14-ს აღწევდა, და თითოეული მათგანი თავისი მნიშვნელობით უთანაბრდებოდა ეროვნულ რესპუბლიკას. საოლქო პარტიული ორგანიზაციებისა და რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელები, მათი კონტროლის ქვეშ მყოფი რეგიონული საბჭოთა და სხვა სახელისუფლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან კავშირში, წარმოადგენდნენ მძლავრ პოლიტიკურ ძალას, ვისი იდეოლოგიური პლატფორმაც შეიცავდა კონსერვატიზმისა და მემარცხენეობის ელემენტებს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-24.

◉ ბენდელას თასი

# სიტყვის კაცნი



**უკვე 18 წელიწადია, ჩვენში საფეხბურთო სეზონს აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ჭაბუკის, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერის ზაზა ბენდელიანის მემორიალი აგვირგვინებს, რომელიც მისმა მეგობრებმა — ძმებმა ქართლოს და კახა ჭუმბურიძეებმა დააფუძნეს.**

ხვალ ორგანიზატორთა კიდევ ერთ ძველ ოცნებას შეესხმება ხორცი — თუ აქამდე „ბენდელას თასის“ გათამაშებას დახურული (სტუ-ს დარბაზი, სპორტის სასახლე და სპორტკომპლექსი „ქარიშხალა“) და მარტივი ტიპის ღია (გიორგი ნემსაძის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „საბურთალო“) სარბიელები მასპინძლობდნენ, ამიერიდან ხსოვნის ტურნირი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის რუსთავის განახლებულ სტადიონზე გაიმართება.

მომავალ ასპარეზობაში ოსტატთა ხუთი გუნდის („ოლიმპი“, „ზესტაფონი“, „დინამო“, „გაგრა“, „დუშეთი“) სათადარიგო შემადგენლობათა წევრები მიიღებენ მონაწილეობას, რაც ნათლად მეტყველებს ორკვირიანი ბატალიების დანიშნულებაზე — გარდა სათამაშო პრაქტიკის გამდიდრებისა, დასახელებული კლუბების დუბლიორებს სელექციონერებიც დააკვირდებიან და თუ თავს მოაწონებენ, იქნებ სარფიან კონტრაქტებსაც გამოჰკრან ხელი.

ვიდრე „ბენდელას თასის“ მორიგი გათამაშების კალენდარს შემოგთავაზებთ, გვსურს მადლიერებით მოვიხსენიოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში დავით კირკიტაძე, რომელთა თანადგომითაც ახალი ტრადიციისთვის საფუძვლის ჩაყრა მოხერხდა.

**11 თებერვალი.**
„დინამო“ — „გაგრა“, „დუშეთი“ — „ოლიმპი“.
**14 თებერვალი.**
„ოლიმპი“ — „გაგრა“, „ზესტაფონი“ — „დუშეთი“.
**16 თებერვალი.**
„ოლიმპი“ — „ზესტაფონი“.
**17 თებერვალი.**
„დინამო“ — „დუშეთი“.
**18 თებერვალი.**
„დუშეთი“— „გაგრა“, „დინამო“ — „ზესტაფონი“.
**22 თებერვალი.**
„გაგრა“ — „ზესტაფონი“, „ოლიმპი“ — „დინამო“.
**24 თებერვალი.**
შეხვედრა III ადგილისთვის და ფინალური მატჩი.

◉ ფეხბურთი

# ზამთარი რას მიქვიან

**უჩვეულოდ ცივმა კლიმატმა გარკვეული კორექტივები შეიტანა განახლებული ეროვნული ჩემპიონატის კალენდარში — XIX ტურის ხუთი შეხვედრიდან ორი გადაიდო: „ოლიმპი“ — „ბაია“ და „ვიტ ჯორჯია“ — „სამტრედია“.**

მატჩის ჩაშლის საფრთხე თბილისშიც არსებობდა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციისა და პროფლიგის წარმომადგენელთა ნებართვით „დინამო“ და „გაგრა“ ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონის გაყინულ სარბიელზე მაინც გამოვიდნენ და უხვგოლიანი სანახაობაც შესთავაზეს რამდენიმე ათეულ თავგამეტებულ გულშემატკივარს — 4:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.

ქვეყნის ყველაზე პოპულარული კლუბის გამარჯვება მნიშვნელოვანწილად ახალწვეულთა დამსახურებაა — კახელიშვილი, ჩიკვილაძე და მაკედონიელი ლეგიონერი კრსტესკი ღირსეულად გამოიყურებოდნენ და პარტნიორებს თუ არა სჯობდნენ, არ ჩამოუვარდებოდნენ მაინც. გოლები ვაწაძემ (2), კაშიამ, ჩიკვილაძემ („დინამო“) და გაბედავამ გაიტანეს.

**დანარჩენი შედეგები:** „სიონი“ — „ცხინვალი“ 0:1, „ზესტაფონი“ — „ლოკომოტივი“ 1:1.

სატურნირო მდგომარეობა: „ოლიმპი“ — 45, „ზესტაფონი“ — 39, „დინამო“ — 35, „ვიტ ჯორჯია“ — 33, „ცხინვალი“ — 26, „სამტრედია“ — 22, „სიონი“ — 17, „გაგრა — 14, „ბაია“ — 12, „ლოკომოტივი“ — 10 ქულა.

◉ წყალხტომა

# მედლები ტიტების ქვეყნიდან



**ჰოლანდიაში დამთავრდა ეინდჰოვენის თასის გათამაშება, რომელშიც 15 ქვეყნის 280 წყალმხტომელი მონაწილეობდა. ქართველმა სპორტსმენებმა ამ ტურნირიდან 5 მედალი ჩამოიტანეს.**

შვიდმეტრიანი კოშკურიდან ხტომაში უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა თერთმეტი წლის თამარ სიჭინავამ, რომელიც თოთხმეტწლამდელებში ცდიდა ძალებს. მანვე სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მეოთხე ადგილი დაიკავა.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო უფროსი ასაკის წყალმხტომელთა პაექრობა. სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში ჭოლა ჭანტურიამ და შოთა კორახაშვილმა მეორე ადგილი დაიკავეს. ერთეულთა თანრიგში ჭანტურიას ბრინჯაო ერგო, კორახაშვილი მეოთხე იყო.

შარშან წლის მიწურულს შეიქმნა აკაკი ივანიშვილისა და ალექსანდრე გუჯაბიძის წყვილი. ცხრამეტწლამდელთა სინქრონულ ხტომაში მათ მესამე ადგილი დაიკავეს. გუჯაბიძემ თექვსმეტწლიანებში ვერცხლის მედალი დაიმსახურა, სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში კი მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

◉ სხვათა შორის

# დააზუსტეთ მაინც

წინა კვირაში ჩვენმა ძლევამოსილმა საპარლამენტო უმრავლესობამ და მას მიტმასნილმა ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ ერთი ვაი-ვიში ატეხა — მოსკოვიდან რუსეთის პრეზიდენტ მედვედევის ადმინისტრაციის თანამშრომელი, ვინმე ოლია დაგვიკავშირდა და, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, ბარსელონაში გასამართ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩზე დაგვპატიჟაო.

აღნიშნული პიარ-სატყუარას დიპლომატიურ ასპექტებზე სატელეფონო ჭორიკნებს საკადრისი პასუხი უკვე გაეცათ, ამიტომ თავს მხოლოდ ერთი ფაქტის დაზუსტების უფლებას მივცემ: წლეულს მაისში ყველაზე პოპულარული ევროტურნირის გადამწყვეტ შეხვედრას კატალონიის დედაქალაქი კი არა, არამედ მადრიდი უმასპინძლებს.

ეს ისე, სხვათა შორის...

**გია პლატონიშვილი**

◉ ფიქრები ქართულ ფეხბურთზე

# საიდან დავიწყოთ? „აი ია“, „აი ბურთი“!

...ძველი მოიტანს ქვიშასა.

**ახალ ცოცხსაც ბევრი ქვიშა მოჰქონდა, სად ეცალა დასაძველებლად. რაღაც მანქანებით აგირჩიეს ფედერაციის პრეზიდენტად? მიდი ახლა, ხვეტე, თალე და იგრიალე. ჩვენში ხომ ასეა: ორგანიზატორად, ლიდერად არ ვარგა, მაგრამ „კარგი ბიჭია“, ვაპატიოთ.**

აპატიეს!

თანამდებობიდან, როგორც წესი, ნაპატიები და შეწყალებულები მიდიან. მოდიან ახალი, „საპატიებლად“ გამზადებული კადრები. თანამდებობა, სავარძელი, მანქანა, კეთილდღეობა. საქმე კი, საქვეყნო, სამომავლო, ჩვენი ღირსებისა და ამბიციურობის სახე — ქართული ფეხბურთი — უკან-უკან მიდიოდა, ვიდრე ისეთ უფსკრულში არ ჩაენარცხა, საიდანაც ვეღარ ამოგვყავს.



ვწერთ და ვწერთ ჩვენი ფეხბურთის სატკივარზე, მერე ჩვენვე ვკითხულობთ, მერე ისევ ვწერთ, გულს გავინედლებთ, კეფას მოვიფხანთ (თავი ხომ მოსაფხანად გვაბია) და მისდევს წლები წლებს, ათწლეულები — ათწლეულებს. ხანდახან აქეთ-იქიდან შემოგვძახებენ:

— ეშველება რამე ქართულ ფეხბურთს?

(ვითომ შენზე უკეთ არ იცოდნენ ამ კითხვაზე პასუხი).

მაგრამ აი (ღმერთი, რჯული!) პირველად ვწერ:

— ეშველება!

ახალი ცოცხი ტრიალებს ფედერაციაში — ნაგავი გააქვს ქოხიდან, წმენდს, ალაგებს, ასუფთავებს, ყველა ნივთს თავის ადგილს უჩენს, მოკლედ, პროფესიონალიზმი, წესრიგი და დისციპლინა უნდა სუფევდეს საფეხბურთო ოჯახში. ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და მისი გუნდი საშვილიშვილო-სამამულო საქმეს არიან შებმულნი — 21-ე საუკუნის ქართულ ფეხბურთს აშენებენ. პირველად ხდება, როცა საძირკვლიდან იწყებენ ეროვნული ფეხბურთის მშენებლობას და არა სახურავიდან. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს სჯერა, რომ ქართული ფეხბურთის ძირი და ფუძე ბავშვთა ფეხბურთია. როგორც „აი იაა“ ცოდნის გასაღები, ასევე საფეხბურთო ანბანი პატარებმა „აი, ბურთით“ უნდა დაიწყონ. ლეგიონერების — მწვრთნელებისა და მოთამაშეების ეს გაუთავებელი ოთურმა ფეხბურთს სარგებელს ვერ მოუტანს.

ეს დღეებია, ზვიად სიჭინავა და ფედერაციის სხვა ხელმძღვანელები მოგზაურობენ ქვეყანაში ბავშვთა ფეხბურთის პრობლემების შესასწავლად. ისინი იყვნენ კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, ამ დღეებში კი შიდა ქართლს ესტუმრნენ. მოინახულეს გორის საფეხბურთო სკოლა, შეხვდნენ მოსწავლეებს, პედაგოგიურ კოლექტივს, გამოიკითხეს სწავლების, ყოფითი პირობები. გაიმართა საგნობრივი საუბრები ბავშვთა ფეხბურთის განვითარების საკითხებზე. საინტერესო წინადადებები წამოჭრეს მხარის გუბერნატორის მოადგილემ გიორგი ავალიანმა, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ზურაბ ლომიძემ, ფეხბურთის სამხარეო ფედერაციის ხელმძღვანელმა გია რევაზიშვილმა და სხვებმა.

სტუმრებმა საფეხბურთო სკოლის მოსწავლეებს ჩამოუტანეს ბურთები, სასწავლო-სავარჯიშო ინვენტარი, მეთოდური ლიტერატურა, დაათვალიერეს ქალაქის განახლებული სტადიონი, გაიხსენეს გორის „დილა“, რომელიც 70-80-იან წლებში სსრკ პირველობის მეორე ლიგაშიც კი გამოდიოდა, სამაგიეროდ, ვერ გაიხსენეს დღეს საქართველოს პირველობის რომელი გადაკარგული ქვეჯგუფის ბინადარია.

ფეხბურთი ადგილზე არ დგას. იგი ვითარდება. უკანასკნელ წლებში პოსტსაბჭოთა სივრცეში დიდი ძვრები მოხდა. შედეგად, ადრე რომ არასაფეხბურთო გვეგონა, ისეთი ქვეყნები აღწევენ წარმატებებს.

თუ ბავშვთა ფეხბურთს სწორ რელსებზე გადავიყვანთ და საქმისთვის ბოლომდე უანგაროდ გავიხარჯებით, ყველაფერს მივაღწევთ.

**გურამ ვაშაკიძე**

◉ ინტერნეტიდან

## ცეცხლი ვანკუვერს მიუახლოვდა



**ორი დღეც და ვანკუვერში აგიზგიზდება 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების უზარმაზარი ჩირაღდანი. იქამდე კი ოლიმპიური ცეცხლი ამთავრებს ქვეყანაში მოგზაურობას.** ერთ-ერთი ბოლო პუნქტი იყო უისტლერი, სადაც ფაქტობრივად სრულდება ოლიმპიური ცეცხლის ჩირაღდნის სამ თვეზე მეტი ხნის „გასეირნება“ კანადის გზებზე. ჩირაღდანი ტრამპლინიდანაც კი გადმოხტა, შემდეგ ის მიიტანეს ბიატლონისა და სათხილამურო რბოლის ადგილებზე, ბოლოს კი თოვლშიმავალის დახმარებით აიტანეს სამთო-სათხილამურო ტრასის მწვერვალზე.

12 თებერვალს კი ის ვანკუვერში ჩავა და ყველას აუწყებს ოლიმპიური თამაშების დაწყებას.

## ხალხში გამოჩნდნენ

**ცნობილი უკრაინელი მოკრივე, ზემძიმე წონაში EBO, IBO და IBF ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმერ კლიჩკო „ხალხში გამოჩნდა“ თავის სატრფოსთან — ჰოლივუდის მსახიობ ჰაიდენ პანატიერისთან ერთად.**



33 წლის მოკრივე და მისი 20 წლის სატრფო დაესწრნენ საზეიმო საღამოს. წითელ ხალიჩაზე მიმავალმა წყვილმა შეკრებილებზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა, რაც გასაკვირი სულაც არაა. უზარმაზარი კლიჩკო (მისი სიმაღლე 198 სანტიმერია, წონა კი 109 კგ) ნაზად ეხებოდა ცეროდენა ჰაიდენს (სიმაღლე 155 სმ, წონა — 50 კგ). თუმცა ეს გარემოება სულაც არ უშლის ხელს ამ წყვილს ერთმანეთით დატკბობაში, „ბედნიერი ვარ!“ — მოკლედ უპასუხა ვლადიმერმა ჟურნალისტთა კითხვაზე.

მისმა ძმამ ვიტალი კლიჩკომ კი ასეთი კომენტარი გააკეთა: „ვლადიმერი პირდაპირ ღრუბლებში დაფრინავს!“

## ლამაზმანი ბუცებს ჩაიცვამს

**ფეხბურთელების ცოლები და სატრფოები სერიოზულად ემზადებიან 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ისინიც აპირებენ სამხრეთ აფრიკის მცხუნვარე მზის ქვეშ პირველი ლამაზმანის სახელისთვის საბრძოლველად ჩასვლას. ისინი ფიქრობენ, ამ დიდ საფეხბურთო ფორუმის ყველაზე ყველაზე პირველად გახდომაზე.**

აი, თუნდაც ურუგვაის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდამსხმელის დიეგო ფორლანის სატრფო — ზაირა ნორა არაფერს ერიდება „მისს 2010 წლის“ სახელის მოსაპოვებლად. ის კი მასმედიამ უნდა შეარჩიოს, პირველობისთვის ასევე აპირებს ბრძოლას ზაირას და, მაქსი ლოპესის ყოფილი ცოლი.



ახლახან კი ლამაზმანმა მოდელმა კონტრაქტი გააფორმა ეკიპირების კომპანიასთან Umbro. ის აპირებს მილიარდობით ფეხბურთის მოყვარულთა წინაშე ფეხბურთელის ტანსაცმლით გამოჩენას. მერე ამას ვინ გაუძლებს? ზაირა ნორასთან ერთად ამ კომპანიას მუნდიალზე წარმოადგენს ინგლისის ნაკრებიც.

იმასაც გეტყვით, რომ 20 წლის ლამაზმანისა და ფორლანის ურთიერთობა 2008 წლის დეკემბერში დაიწყო. თუმცა ამ რომანზე ხმები მხოლოდ ამ ერთი თვის წინათ გავრცელდა.

მეზობლებთან

# მაინც ბრუნავს...

**ეროვნულ ბიბლიოთეკაში („ძველი წელთაღრიცხვით“, საჯაროშიძ მყოფს შემთხვევით მომხვდა თვალში მოსკოვში რუსულ ენაზე გამომავალი ცნობილი ლიტერატურული ჟურნალის „Октябрь“-ის შარშანდელი ერთ-ერთი ბოლო ნომერი.**

ფურცვლა დავიწყე და ჯერ თვალებს არ დავუჯერე, მერე კი გვარიან სიურპრიზად აღვიქვი, როცა მთელს განყოფილებას გადავაწყდი: „საქართველოს პროზა და პოეზია“ (არ დამზარებია გადათვლა და 32 გვერდი ჰქონდა დათმობილიძ.

აქ შეგხვდებათ ბესო ხვედელიძის, შოთა იათაშვილის, დავით ქართველიშვილის მოთხრობები (შესაბამისად, „მეცამეტე ლაქა“, „და ჩვენ გავაძევეთ სახლიდან სიკვდილი “, „თვალყური ადევნეთ ხელოვნების გულისათვის“ძ, რომლებიც ანა გრიგს უთარგმნია; დავით ჩიხლაძის ლექსი (მთარგმნელი ძეთი ჩუხროვაძ, ნიკა ჯორჯანელის 3 ლექსი (მთარგმნელები ბახიტ კენტეევი და მაქსიმ ამელინიძ, ეკა ქევანიშვილის 2 ლექსი (მთარგმნელი ანა გრიგიძ, შოთა იათაშვილის 3 ლექსი (მთარგმნელი ბახიტ კენტეევიძ, მაია სარიშვილის ლექსი (მთარგმნელი ანა ზოლოტარიოვაძ, ანა გრიგის 3 ლექსი, რუსუდან კაიშაურის 2 ლექსი (მთარგმნელი მარინა ლამარიძ.

შესანიშნავ, რომ ანა გრიგი ლიტერატურული ფსევდონიმია ახალგაზრდა რუსულენოვანი თბილისელი მწერალი ქალის გრიგალაშვილისა, რომელიც ადრეც გამოჩნდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ჟურნალი თავის მრავალრიცხოვან მკითხველს აცნობს თითოეული ქართველი ავტორის მოკლე ბიოგრაფიას.

...იმ უმძიმესი ვითარების ფონზე, რომელიც ახლა რუსეთსა და საქართველოს შორისაა, ვფიქრობ, „Октябрь“-ის რედაქციის მხრიდან კეთილშობილურ ჟესტად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს პროზისა და პოეზიისადმი ამგვარი ყურადღების გამოჩენა. მივიჩნიოთ და დავაფასოთ კიდევაც.

...„მაინც ბრუნავსო“, უთქვამს დედამიწაზე ფეხის დაკვრით, ოდესღაც, ერთ დიდ სწავლულს, ინკვიზიციის მკაცრ სამსჯავროზე წამდგარს...

**თამაზ ეგანოიძე**

ჩვენებურებზე

# ხომ ვამბობდი, სად გინდა, ქართველი რომ არ გაერიოს-მეთქი...



**მეხუთე სეზონია, რაც მოსკოვში იმართება შოუ „ვარსკვლავების ცეკვები“ — პარკეტზე. ეს საცეკვაო პროექტი ინგლისელებმა მოიფიქრეს და მერე ევროპის პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ შეისყიდა. სხვათა შორის, იტალიაში მოწყობილ ცეკვებში თვით მარადონა მონაწილეობდა...**



მოსკოვში 2009 წლის კონკურსში გაიმარჯვეს იულია სავიჩევამ და **ევგენი პაპუნაშვილმა.**

როგორც „კომსომოლსკაია პრავდა“ იუწყება, ამ სეზონში ერთმანეთს ეჯიბრება 18 წყვილი. სხვათა და სხვათა შორის, პარკეტზე „შეეჯახებიან“ ორი ცნობილი პოლიტიკოსის შთამომავალნი: განსვენებული ანატოლი სობჩაკის ქალიშვილი ქსენია სობჩაკი და ჯანმრთელად მყოფი ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილი სოფიკო შევარდნაძე.

ქსენიას პარტნიორი სწორედ შარშანდელი გამარჯვებული ევგენი პაპუნაშვილი იქნება, სოფიკოსი — დენის კასპერი.

აქვე სათქმელად: 172 სმ სიმაღლის ქსენია სობჩაკი ტელეწამყვანია („სახლი-2“, „ორი ვარსკვლავი“ძ, მონაწილეობდა პროგრამაში „ცირკი ვარსკვლავებთან ერთად“; 169 სმ სიმაღლის სოფიკო შევარდნაძე არის „დღევანდელი რუსეთის“ ტელეწამყვანი და „მოსკოვის ექოს“ რადიოწამყვანი.

მოამზადა
**ლუკა გორგაძემ**

სახალისო კონკურსი

# „სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!“

**ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციაში გაიმართა მხატვრული კითხვის სახალისო კონკურსი დევიზით: — „სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!“, რომელიც გახსნა ამ ასოციაციის საპატიო თავმჯდომარემ, შპს „საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების“ დირექტორმა ვანო ნატროშვილმა.** იგი დამწრე საზოგადოებას ესაუბრა იმის შესახებ, რომ უწიგნურობა ჩვენი დღევანდელი თაობის მთავარი პრობლემაა, ჩვენი ასოციაციის მთავარი მიზანი კი ამ მტკივნეული საკითხის მეტ-ნაკლებად მოგვარებააო. კონკურსში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შპს „სერვისი 2007“-ის და შპს „საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების“ თანამშრომლები. ისინი ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ქართველ კლასიკოსთა ლექსების ხატოვნად თქმაში.

ათი-ათი ქულა დაიმსახურეს თემურ მეხრიშვილმა და ბიძინა პაპაშვილმა (შპს „სერვისი 2007“ძ, რეზო კოპალიანმა და ალიკ ჭაბაშვილმა (შპს „საავადმყოფო-პოლიკლინიკური“ გაერთიანებაძ. ჟიურის თავმჯდომარემ გოდერძი გონაშვილმა კონკურსანტები თავის მარანში მიიწვია, სადაც სადღეგრძელოების თქმაში ერთმანეთს „მეტოქეობა“ გაუწიეს. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თითო ბოთლი თეთრი „თელური“ ღვინით.

**ნანა ჭიჭინაძე,**
„სრ“ საკ. კორ.

პოლიცია

# დროებითი თანამდებობა შეიფერა

**არც ისე შორეულ წარსულში პატიმრობის ვადამოხდილ, ან პირობითი სასჯელის მქონე პირები ცხადდებოდნენ შსს-ს ადგილობრივ ორგანოებში და ყოველდღიურად აფიქსირებდნენ ადგილზე ყოფნას (მათ ეკრძალებოდათ ქალაქიდან გასვლაძ.**

**როდესაც ყველაფერი აირია და ქვეყანას ფაქტობრივად კრიმინალები მართავდნენ, ამ ნიუანსებისთვის აღარავის ეცალა. ერთადერთნი, ვინც ნახსენები კატეგორიის ხალხს ათასში ერთხელ უზედავდნენ შემოწმებას, უბნის ინსპექტორები იყვნენ.**

„რევოლუციონერების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, უბნის ინსპექტორის ინსტიტუტი საერთოდ გააუქმეს, როგორც „შევარდნაძის გადმონაშთი“. რაიგანყოფილებებში გაუქმდა ყოფილ მსჯავრდებულთა და პირობითი სასჯელის მქონეთა ზედამხედველობის სამსახური. ამას დაემატა ის, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებების სისტემის შსს-დან გამოყოფამ და იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემამ მთლიანად მოშალა სასჯელის მოხდის შემდეგ პიროვნებებზე პოლიციაში შეტყობინების გაგზავნის მექანიზმი. ჩაწერის ინსტიტუტის გაუქმებამ ყოფილ პატიმარს ხელ-ფეხი გაუხსნა. ისინი თავისუფლად გადაადგილდებოდნენ როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ქაოსმა უაღრესად დაამძიმა კრიმინოგენური ვითარება.

გამოუცდელი, მუდამ ექსპერიმენტების მაძიებარი ხელისუფლება მიხვდა, რომ მხოლოდ „პატრულის“ იმედად პრობლემას ვერ მოაგვარებდა. პირველად აღადგინეს უბნის ინსპექტორის ინსტიტუტი (დღევანდელი უფლება-მოვალეობით ის არაფრის მაქნისიაძ. შემდეგ „შევარდნაძის ნარჩენების“ კიდევ ერთი — პრობაციის სამსახურის აღდგენა ჩათვალეს მიზანშეწონილად (რასაკვირველია, ახალი და „ნაციონალების“ სანდო კადრებით. მას იგივე უფლება-მოვალეობები დაეკისრა, რაც თავის დროზე ყოფილ პატიმართა და პირობითი სასჯელის მომხდელ პირებზე კონტროლის სამსახურს ჰქონდა.

პრობაციის სამსახური თავიდანვე არაპრესტიჟულად ჩაითვალა. ამის გამო განიცდის კადრების ნაკლებობას, რასაც თან ერთვის დენადობაც.

ამ მიზეზთა გამო აღმოჩნდა ახალციხის პრობაციის ოფიცერი შსს ახალქალაქის შესაბამის თანამდებობაზე დროებით შემსრულებლად. იმ პერიოდში ახალციხელი ოთარ ხითარიშვილის ახალქალაქელი კოლეგა შვებულებაში იმყოფებოდა. ადგილობრივებმა შს სამმართველოში კაცი ვერ მოძებნეს მის შესაცვლელად. ხითარიშვილის სამსახურში კი 2-3 თანამშრომელი მაინც იყო.

ერთი თვით ახალ რაიონში გადასულმა ხითარიშვილმა ფულის კეთება გადაწყვიტა. როგორც გამოძიებიდან ირკვევა, იგი უპრობლემოდ იღებდა ქრთამს ადგილობრივი „მისი კონტინგენტის“ პიროვნებებისგან და უფლებას აძლევდა არა მხოლოდ ქალაქი დაეტოვებინათ, არამედ ქვეყანაც (გადადიოდნენ სომხეთშიძ.

კანონით პირობით მსჯავრდებულს უფლება არა აქვს ქვეყნის ფარგლების დატოვებისა. თუმცა გამონაკლისის სახით, თუ პირობითი სასჯელის მქონე განცხადებით მიმართავს ადგილობრივი პრობაციის სამსახურს და მას დადებით პასუხს მისცემენ, პირი ბიუჯეტში იხდის შესაბამის საზღაურს და საზღვარსაც კანონიერად გადაკვეთს. ბიუჯეტის მაგივრად ხითარიშვილი ფულს ჯიბეში იდებდა და ისე აძლევდა სასჯელდაკისრებულ პირებს უცხოეთში გასვლის ნებართვას. მან 7 ასეთი ქმედება ჩაიდინა და ბიუჯეტს 23 ათასი ლარი აზარალა.

ხითარიშვილს თითო დანაშაულის ჩადენაში 3 წლით პატიმრობა ელის. ახალციხის სასამართლომ მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ხითარიშვილის მხარე თავს იმით ინუგეშებს, რომ ყოველი დანაშაულის ფაქტზე შესაძლებელია საპროცესო გარიგება. ამისათვის ვაჭრობა-აუქციონი აუცილებლად ჩატარდება ბრალდებულსა და ბრალმდებელს შორის, სადაც გადაწყდება თანხის ოდენობა.

**ზაზა ბილიხოძე**

კარიკატურისტის თვალით



გრიპის მოლოდინში.

ამირან ერაძის ნახატი.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ რუსლან რუსიას ბიძის

ალექსანდრე (ბუჭაძ რუსიას

გარდაცვალების გამო.

---

ბონდო ჯიქია, გურამ გუნავა, ზურაბ გოგოხია, ტარიელ დგებუაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, ღვაწლმოსილი პიროვნება, სამაგალითო მეგობარი

იოსებ ხიმშიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

---

აბაშის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო სამძიმარს უცხადებენ ნანა შენგელიასა და ომარ ცომაიას მამისა და სიმამრის

ზურაბ (ტუზიკოძ შენგელიას

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოყენების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გურამ ქარუმიძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

უნივერსიტეტის ჯგუფელები ნანული გიგინეიშვილი, გულიკო შაიშმელაშვილი, იზო ჩხაიძე, მედიკო ბადრიძე, თამაზ ცქიტიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი, გამორჩეული მეგობარი

მერი კარტოზია

პანაშვიდი 9, 10 II, 17 საათზე, დაკრძალვა 11 II, ორთაჭალა, I ხეივნის ძ. №8.

---

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საზოგადოების მორიგ საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2010 წლის 15 მარტს, 12 საათზე, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ-ში, საზოგადოების ოფისში. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვრა 2010 წლის 09 თებერვალი.

დღის წესრიგი:

1. 2009 წლის საბოლოო შედეგების განხილვა;
2. მოგების განაწილების საკითხი;
3. აუდიტორის არჩევა.

საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მათი მონაწილეობის უფლება კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სს „კავკასრეესტრი“, მდებარე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ა.

◎ იცოდით?

# ვინ მიაჩნიათ გენიოსად

დედამიწაზე არსებულ ათასობით კომპანიას შორის ყოფილა მსოფლიო საკონსულტაციოც: Creator Synectics. სწორედ იქ ითავეს თანამედროვეობის 100 გენიოსის სიის „შედგენა“ და გამოაქვეყნეს კიდევაც. გთავაზობთ ზოგიერთის სახელ-გვარსა და გენიალობის „საიდუმლოს“.

**სერ ტიმ ბერნერს-ლი,** აშშ, ინტერნეტის გამომგონებელი;

**სტივენ ჰოკინგი**, ფიზიკოსი; გააკეთა აღმოჩენები კოსმოლოგიასა და კვანტურ გრავიტაციაში, კერძოდ, სრულად შეისწავლა შავი ხვრელები;

**გრიგორი პერელმანი,** რუსეთი, – მათემატიკოსი; დაამტკიცა პუანკარეს ერთ-ერთი „სტაჟიანი“ ჰიპოთეზა (ანრი პუანკარე – დიდი ფრანგი მეცნიერი – **თ. ე.**ძ;

**დალაი-ლამა;** ტიბეტი; სულიერი ლიდერი;

**ბობი ფიშერი,** მოჭადრაკე;

**ბილ გეიტსი** – აშშ, მეწარმე;

**პოლ მაკარტნი** – დიდი ბრიტანეთი, მუსიკოსი;

**სტივ ვოზნიაკი** – აშშ, ინჟინერი; Apple Computers-ის დამაარსებელი;

**მარტინ კუპერი** – აშშ; ფიჭური ტელეფონის გამომგონებელი;

**მიხეილ კალაშნიკოვი** – რუსეთი; სასროლი იარაღის კონსტრუქტორი;

**...ძალიან დამწყდა გული ამ ნუსხაში საქართველოს პრეზიდენტი რომ ვერ შევიდა. ახალ ასეულს დაველოდები, არა უშავს...**

**თამაზ ებანოიძე**

◎ ცხრა მთას იქით

# ცხოვრება კონტრასტებით არის სავსე



**ამას წინათ გინესის რეკორდების წიგნის კომიტეტმა (არის ასეთიც!)ძ სტამბოლში მოაწყო პრეზენტაცია, სადაც ორი ანტიპოდი შეახვედრა ერთმანეთს; ეს თვალნათლივი ილუსტრირება იყო იმისა, თუ როგორი კონტრასტებითაა აღსავსე ცხოვრება:**

დედამიწაზე ყველაზე მაღალი მამაკაცი, 27 წლის, 2 მ და 46,5 სმ სიმაღლის თურქი სულთან კოსენი „დაუპირისპირდა“ მსოფლიო ქონდრისკაცს, 21 წლის, 73 სმ სიმაღლის ჩინელ ხე პინგ-პინგს.

როგორც ფოტოზე ვხედავთ, სულთანს არ შეუძლია უყავარჯნოდ გადაადგილება და ჩინელი ლილიპუტი მუხლამდე სწვდება თურქ გულივერს.

ერთი რამით კი ისინი ენათესავებიან ერთიმეორეს: თავიანთი უნიკალური მონაცემების წყალობით შოუმენებად იქცნენ და გვარიანი კაპიტალებიც დააგროვეს...

◎ დღის კალენდარი — 10 თებერვალი

ღირსისა ეფრემ ასურისა (373-379ძ; ღირსისა პალადი მეუდაბნოისა (IVძ; ღირსისა ისააკ ასურისა, ნინევიის ეპისკოპოსისა (VIძ; ღირსისა იაკობ დაყუდებულისა, ეპისკოპოსისა, რომელსაც შეემთხვა დაცემა სიძვითა; ორთა მოწამეთა – დედისა და ასულისა; მოწამისა ქარისასი.



ამოდის 07.03
ჩადის 17.28

ამოდის 04.50
ჩადის 14.00

## დაიბადნენ:

**1890 – ბორის პასტერნაკი,** რუსეთელი პოეტი, რომან „დოქტორ ჟივაგოს“ ავტორი. გარდაიცვალა 1960 წელს.

**1897 – ჯონ ენდერსი,** ამერიკელი ვირუსოლოგი, წითელას საწინააღმდეგო ვაქცინის შემქმნელი.

**1898 – ბერტოლდ ბრეხტი,** გერმანელი პოეტი, დრამატურგი და რეჟისორი. გარდაიცვალა 1956 წელს.

**1902 – უოლტერ ბრატტეინი,** ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1987 წელს.

**1934 – თენგიზ მირზაშვილი,** საქართველოს სახალხო მხატვარი.

**1950 – მარკ სპიტცი,** ამერიკელი მოცურავე, 11 ოლიმპიური მედლის მფლობელი, 26 მსოფლიო რეკორდის ავტორი.

## გარდაიცვალნენ:

**1755 – შარლ მონტესკიე,** ფრანგი განმანათლებელი, დაიბადა 1689 წელს.

**1837 – ალექსანდრ პუშკინი,** რუსი პოეტი. დაიბადა 1799 წელს.

**1868 – დევიდ ბრუსტერი,** შოტლანდიელი ფიზიკოსი, აღმოაჩინა სინათლის პოლარიზაციის კანონი. დაიბადა 1781 წელს.

## მოვლენები:

**1635** – დაარსდა საფრანგეთის „უკვდავთა“ აკადემია.

**1927** – დაარსდა თბილისის ზოოლოგიური პარკი.

**1942** – პირველი ოქროს დისკი მიენიჭა ამერიკელ მომღერალს გლენ მილერს.

**1947** – პარიზში ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოებსა და გერმანიის ყოფილ მოკავშირეებს შორის.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**რუსეთი** – პუშკინის დღე.

**მედიანიუსი**

**ამინდი დღეს**

| | |
|---|---|
| თბილისი. | -1 – +6 |
| ქუთაისი. | +7 – +12 |
| ბათუმი. | +9 – +11 |
| ზუგდიდი. | +7 – +11 |
| თელავი. | +1 – +4 |



**ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7129 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3446 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6666 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6132 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5300 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1421 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1410 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1276 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5092 ლარი |



**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

**„ოჯახის მკურნალი“**
ჰომეოპათიის (თ. ალაშვილი – დირექტორიძ, ქართული ტრადიციული მედიცინის (ნ. ნაჭყებიაძ, ბავშვთა მანუალური თერაპიის (თ. მიმინოშვილიძ, მასაჟის და სამკურნალო ფიზკულტურის კლინიკა
რუსთაველის 28/ალ. ჭავჭავაძის 2ა, 98-64-86, 98-99-55, (899ძ 55-99-61.
www.alashvili.com

◎ ანეკდოტები

– მიხო, რა არის კრიზისი?

– ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ჩვენს მთავრობაზე მეტად რომ გვჭამს, ფაქტია!

* * *

– რა უნდა ჩემგან ამ მუშკეტერს, გასაქანს არ მაძლევს, არ ვიცი, თავი როგორ დავიხსნა მისგან, – ხელოვნური შეშფოთებით ეუბნება ცოლი ქმარს ბალ-მასკარადზე.

– როგორ დაიხსნა და, ძალიან იოლად – ნიღაბი მოიხსენი.

* * *

მრავალრიცხოვანი დაცვით გარშემორტყმული პრეზიდენტი ტელევიზიის შენობას უახლოვდება, სადაც წინასაარჩევნო სიტყვით უნდა გამოვიდეს. შენობის შესასვლელთან შეგროვილი მოქალაქეები მას სტვენით ხვდებიან. „შე არამზადავ, მატყუარავ!..“, „შენი დროც დადგება, ნაძირალავ“..., „მოგვწყდი თავიდან!“.. – ისმის ბრბოს ყვირილი. პრეზიდენტს ლაყე კვერცხებს, ბანანის ნაფცქვენებს, ვაშლის ნარჩენებს ესვრიან. დაცვა ძლივს უსუფთავებს პრეზიდენტს გზას.



პრეზიდენტი შედის სტუდიაში და მაყურებლებს გულში ჩამწვდომი ხმით მიმართავს:

– ახლახან, როგორც ყოველთვის, შევხვდი უბრალო ადამიანებს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ხალხის საკეთილდღეოდ გაწეულ შრომას არავინ დაუტოვებია გულგრილი...

* * *

– ექიმო, რამდენი წელიწადი შეიძლება იცხოვროს ადამიანმა უტვინოდ?

– თქვენ რამდენი წლისა ხართ?

◎ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.